განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრის გამოცემა

№2, 2023

ISSN 2720-8605

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

№2, 2023

სარედაქციო კოლეგია:

ნათია გორგაძე
ბექა მინდიაშვილი
დავით წულაძე
ვლადიმერ სვანაძე
მაია ბლიაძე
ლევან სებისკვერაძე
ქეთევან ქობალია

მთავარი რედაქტორი
ნინო გვარამაძე

კორექტორი
ნინო უჩანეიშვილი

დიზაინერი
ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი:

თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალის რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

ISSN 2720-8605

WWW.TPDC.GE

რედაქტორისგან

ნინო გვარამაძე

წარმოგიდგენთ ჟურნალ „განათლება გლობალური მოქალაქეობისთვის“ ახალ ნომერს. მასში თქვენ გაეცნობით გლობალურ მოქალაქეობასთან დაკავშირებულ სიახლეებს.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მინისტერიალზე (2023 წლის სექტემბერი) დამტკიცებული ინიციატივა – ახალი ინსტრუმენტის, მოქალაქეობრივი განათლების ევროპული სივრცის ჩარჩო კონვენციის შემუშავების შესახებ. მოქალაქეობრივი განათლების მიმართულებით, ჟურნალში წარმოდგენილია დემოკრატიული სკოლის საუკეთესო პრაქტიკები და მათი განხორციელების გზები.

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულია რამდენიმე სტატია. განხილულია ახალი მიდგომა ეკონომიკისა და გარემოს დაცვის მიმართ. საინტერესო უნდა იყოს „ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფციის გაცნობა. თანამედროვეობის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს კლიმატის ცვლილება. მკითხველი გაეცნობა სტატიას ამ თემაზე. მდგრადი განვითარების განათლების საკითხებს ეხმაურება ინფორმაცია ნიკო კეცხოველის პრემიასთან დაკავშირებით, რომელიც სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება სკოლის მოსწავლეებში. წარმოდგენილია სტატიის „სკაუტინგი როგორც აღმზრდელობითი სისტემა“ დასასრული.

ციფრული წიგნიერება ჟურნალის მუდმივი თემაა. კიბერუსაფრთხოების საკითხები უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან მუდმივად იზრდება კიბერშეტევების არეალი. დღეს, როცა უამრავი საავტორო პროდუქციის მოძიება და გაზიარება შეიძლება, საავტორო უფლებების დაცვა მნიშვნელოვანია. ასევე, აუცილებელია მომხმარებელმა ზუსტად იცოდეს პროდუქტის კანონიერად გამოყენების შესაძლებლობები. ამ საკითხს ეხება სტატია „Creative Commons ლიცენზიები“.

მოქალაქეობის განათლების საკითხებზე მრავალი საერთაშორისო პროექტი ხორციელდება. ჟურნალში გაეცნობით 2023 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მოქალაქეობის განათლების აღმოსავლეთ ევროპის ქსელის მიერ განხორციელებულ პროექტს „მოქალაქეობის განათლების ქარავანი“, რომელშიც, სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც იყო ჩართული.

შინაარსი

მოქალაქეობრივი განათლება

ნათია ნაცვლიშვილი
2 ჩარჩო კონვენცია „მოქალაქეობრივი განათლების ევროპული სივრცე“ – ახალი ევროპული ინიციატივა მოქალაქეობრივი განათლების ხელშეწყობად

ნათია გორგაძე
6 სამოქალაქო განათლების პრაქტიკები და დემოკრატიული სკოლის კონცეფცია

მდგრადი განვითარება

მაია ბლიაძე
10 ეკონომიკის ფერის ცვალება მდგრადი განვითარებისთვის

მაია ბლიაძე
28 კლიმატის ცვლილება: მიზეზები, შედეგები, პრევენცია

ლევან სებისკვერაძე
34 არაფორმალური განათლება ნიკო კეცხოველის პრემიის მაგალითზე

ქეთევან ქობალია
39 სკაუტინგი როგორც აღმზრდელობითი სისტემა

ციფრული წიგნიერება

ვლადიმერ სვანაძე
49 სასწავლო-კვლევითი ცენტრებისა და ლაბორატორიების კიბერუსაფრთხოება

ნინო მარღიშვილი
54 CREATIVE COMMONS ლიცენზიები

საუნივერსიტეტო პროექტები

ნინო გვარამაძე
59 მოქალაქეობის განათლების ქარავანი 2023

ნათია ნაცვლიშვილი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ჩარჩო კონვენცია „მოქალაქეობრივი განათლების ევროპული სივრცე" — ახალი ევროპული ინიციატივა მოქალაქეობრივი განათლების ხელშესაწყობად

საჯარო განათლების საერთაშორისო მისიის განახლება.

ევროპის საბჭო კონტინენტის ყველაზე დიდი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომლის მიზანსაც დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვა წარმოადგენს და რომელიც მუდმივად ცდილობს განათლებაში ამ პრინციპების გატარებას. ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების პასუხად, განათლებაში ადამიანის უფლებების სწავლებისა და დემოკრატიული კულტურის გასაძლიერებლად, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მინისტერიალზე (2023 წლის სექტემბერი) ახალი ინიციატივა დამტკიცდა – ახალი ინსტრუმენტის, **მოქალაქეობრივი განათლების ევროპული სივრცის ჩარჩო კონვენციის** შემუშავება.

რატომ ახალი ინსტრუმენტი?

ევროპის საბჭო 1997 წლიდან მუშაობს დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ, წევრ ქვეყნებში დემოკრატიული კულტურის გაძლიერების მიზნით. თუმცა, მიუხედავად არაერთი პოლიტიკური თუ საგანმანათლებლო რეკომენდაციისა, ჯერ კიდევ არსებობს ხარვეზები მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკაში მთელი ევროპის მასშტაბით. კვლევები ცხადყოფს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღონისძიებების გატარება პროფესიული განათლებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში, ზრდასრულთა განათლებისა და ციფრული მოქალაქეობის განათლების სფეროში.

ევროპის კონტინენტზე ბოლოდროინდელმა კრიზისებმა კიდევ უფრო გაამძაფრა ეს საჭიროებები, რადგან მოსწავლეებს არ აქვთ საკმარისი შესაძლებლობა, ისარგებლონ **ხარისხიანი მოქალაქეობრივი განათლებით**, რომელიც მოამზადებს მათ, სრულფასოვნად იმოქმედონ, როგორც აქტიურმა და ინფორმირებულმა მოქალაქეებმა დემოკრატიულ საზოგადოებებში. ამავე დროს, მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა, ადამიანის ღირსების, ადამიანის უფლებების, კულტურული მრავალფეროვნების, დემოკრატიის, სამართლიანობის, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის პატივისცემის დემოკრატიული ღირებულებები რჩება არსებითი.

ამ საკითხების გადასაჭრელად, ევროპის საბჭომ წინ წამოსწია იდეა, რომ საჭიროა განათლების სამოქალაქო მისიის განახლება, რათა სკოლამ შეძლოს, მოამზადოს მოსწავლეები აქტიურ მოქალაქეებად დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის, სადაც დემოკრატიული კომპეტენციები სულ უფრო მეტად იქნება აღიარებული, როგორც პიროვნული და პროფესიული განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტი. ეს ყოველივე კი მოითხოვს კიდევ უფრო პროაქტიულ მიდგომას განათლების ყველა საფეხურზე და წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაზრდას, ხარისხიანი მოქალაქეობრივი განათლების უზრუნველსაყოფად.

როგორი იქნება ახალი ინიციატივის შინაარსი?

ახალი ინიციატივის შინაარსის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია ჯერჯერობით არ არსებობს. იდეა დამტკიცდა და გაჟღერდა სულ რაღაც ერთი თვის წინ და მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ევროპის საბჭოს პასუხი ევროპაში განათლების სამოქალაქო მისიის განახლებაზე ორიენტირებულ კონტექსტში იქნება ახალი **ჩარჩო კონვენციის შემუშავება მოქალაქეობრივი განათლების ევროპული სივრცის შესაქმნელად**. არსებული გადაწყვეტილების მიხედვით, ეს სავალდებულო ინსტრუმენტი მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ყოვლისმომცველი ჩარჩო ევროპაში ხარისხიანი მოქალაქეობრივი განათლებისთვის და შექმნას „ევროპული სივრცე“ წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისთვის, რომლებიც ინარჩუნებენ ერთგულებას დემოკრატიული ღირებულებებისა და პრინციპების მიმართ.

ახალი ინსტრუმენტი არ ჩაანაცვლებს ისეთ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების შესახებ (EDC/HRE) და დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო (RFCDC). იგი თავს მოუყრის და განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს არსებული ინსტრუმენტებიდან და განათლების ყველა პროგრამული სფეროდან, გააერთიანებს განათლების ძირითად პრინციპებსა და საერთო ვალდებულებებს დემოკრატიისთვის. ეს ჩარჩო შეიძლება იყოს „ერთი ფანჯრის“ ფუნქცია ევროპულ განათლებაში დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაციისთვის და წევრ სახელმწიფოებს მიაწოდოს მიზანმიმართული ან მრავალმხრივი იდეები და სამოქმედო შესაძლებლობები.

ახალი ჩარჩო კონვენცია შემოგვთავაზებს უფრო ინტეგრირებულ მიდგომას განათლების გზით დემოკრატიული კულტურის განვითარებისთვის, რითაც შექმნის წევრ სახელმწიფოებს შორის ვალდებულების უფრო მაღალ დონეს. კონვენცია უნდა იყოს ყოვლისმომცველი, განახლებული, „გამოყენებადი“ განათლების ყველა საფეხურზე, მიზნად უნდა ისახავდეს მოქალაქეობრივი განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და უზრუნველყოს სტაბილური და გრძელვადიანი პლატფორმა, ყველა წევრ სახელმწიფოს შორის დიალოგისა და თანამშრომლობისთვის.

ასევე, ახალი ინსტრუმენტი მიზნად ისახავს ევროპის მასშტაბით ახალი სტანდარტებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას, მომავალი ინდიკატორების იდენტიფიცირებას, კვლევისა და განვითარების ვალდებულებას. მონიტორინგის მექანიზმი წაახალისებს სახელმწიფოებს, განახორციელონ თავიანთი ვალდებულებები, უზრუნველყონ მხარდაჭერა და საექსპერტო დახმარება არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ახალმა ჩარჩო კონვენციამ უნდა აღიაროს სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდობისა და სტუდენტური ასოციაციების განსაკუთრებული როლიც, რადგან ეს გაზრდის წევრ ქვეყნებში ამ სფეროში უკვე მომუშავე ადამიანების მზაობასა და ეფექტურობას. აღნიშნული მიმართულებით ევროპის საბჭოს თანმიმდევრულობა და ღირებულებები, სტანდარტების დადგენისა და პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავების გამოცდილებასთან ერთად, შესაძლებელს ხდის საერთაშორისო საზოგადოების მობილიზებას, არასტაბილურობის ამჟამინდელი კლიმატის მიუხედავად, დასახული ინიციატივის განხორციელების მიზნით.

რა ვალდებულებებს დაეკისრება ჩარჩო კონვენცია წევრ სახელმწიფოებს?

ზოგადად, ევროპის საბჭოს ფარგლებში შემუშავებული ტრადიციული კონვენციები მოიცავს კონკრეტულ ვალდებულებებს მხარეებისთვის, მათ შორის, პოზიტიურ ვალდებულებებსა და ინდივიდუალურ უფლებებს. მოქალაქეობრივი განათლების ევროპული სივრცის ახალი ინსტრუმენტის ფორმატის თვალსაზრისით, ჩარჩო კონვენცია, ძირითადი დებულებებითა და არჩევითი დებულებებით, შეიძლება იყოს უფრო მოქნილი და მიმზიდველი ხასიათის. კონვენცია ღია იქნება ხელმოსაწერად წევრი სახელმწიფოებისა და მის შემუშავებაში ჩართული სხვა ორგანიზაციებისთვის. დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების მიერ, მინიმუმ, ათი რატიფიკაციაა საჭირო განათლების შესახებ ჩარჩო კონვენციის ამოქმედებისთვის.

დასკვნები ჩამდენიმე კვლევიდან

ევროპის საბჭოს ახალი ინიციატივა, ბუნებრივია, კვლევის შედეგებით გამოვლენილ საჭიროებებს ეფუძნება. ჩვენი სტატიის დასასრულს, მაგალითისთვის გიზიარებთ რამდენიმე მნიშვნელოვან ამონარიდს:

„მიუხედავად იმისა, რომ არსებითი პროგრესი შეინიშნება EDC/HRE-ის ევროპულ საგანმანათლებლო სისტემებში დანერგვის კუთხით, სისტემური მიდგომა, რომელიც კონკრეტულად ეხება ადამიანის უფლებას, ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული განათლების პოლიტიკის უმეტეს ჩარჩოებში“.

„მონიტორინგისა და შეფასების მონაცემების ნაკლებობა: ბოლო ანგარიშში (2016) ნახსენები მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ის, რომ რთული იყო სხვადასხვა აქტორისგან ინფორმაციის შეგროვება კომუნიკაციის დადგენილი არხების არარსებობისა და მონაცემთა შეგროვების გეგმის არარსებობის გამო. გამოკითხვებისა და ფოკუს-ჯგუფების დასკვნებიდან გამომდინარე, სიტუაცია არსებითად არ შეცვლილა“.

„ევროპის საბჭოს ქარტიის EDC/HRE დანერგვის მე-3 ანგარიში, 2022“

„2017 წლის Eurydice ანგარიში ცხადყოფს, რომ მოქალაქეობრივი განათლება არის ზოგადი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმების ნაწილი ყველა ქვეყანაში. წევრი ქვეყნების უმეტეს ნაწილში პოლიტიკის დონეზე აქცენტი კეთდება ისეთ ცნებებზე, როგორებიცაა დემოკრატია, თავისუფლება, სამართლიანობა და

ინკლუზია. სასწავლო გეგმები აერთიანებს კლასიკურ მიდგომებს მოქალაქეობრივი განათლების შესახებ, რაც ხელს უწყობს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პროცესების უკეთ გააზრებას, მრავალგანზომილებიან უნარებსა და კომპეტენციებს. [...]

ICCS-ის კვლევა ასკვნის, რომ მოქალაქეობრივი განათლების კონტექსტში სჭარბობს ეროვნული ფოკუსი, მაშინ როცა საერთაშორისო განზომილება (ევროპული და გლობალური) არც ისე ძლიერია. [...]

უფრო მეტიც, EPRS ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მოქალაქეობრივი განათლება ადვილად ხდება პოლიტიზაციის მსხვერპლი, რაც გავლენას ახდენს საგნის შინაარსზე, მეთოდებსა და მისთვის განკუთვნილ საათებზე. [...]

ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ გადატვირთული სასწავლო გეგმები, ტრადიციული სწავლება და უაღრესად ცენტრალიზებული განათლების სისტემები ქმნის შეუსაბამობას კურიკულუმის რეცეპტებსა და სკოლებში არსებულ პრაქტიკას შორის. [...]

რაც შეეხება მოქალაქეობრივი განათლების სწავლების მზადყოფნას, 2017 წელს, ქვეყნების ნახევარს [ევროკავშირში] არ გააჩნდა რეგულაციები ან რეკომენდაციები მოქალაქეობრივი განათლების კომპეტენციებთან დაკავშირებით, მასწავლებელთა მომზადების მიმართულებით. [...]

ევროპარლამენტის მოხსენებიდან მოქალაქეობრივი განათლების ღონისძიებების განხორციელების შესახებ (2022)

კონვენცია უნდა იყოს ყოვლისმომცველი, მანახლებელი, „მაემოყენებელი“ მანათლების ყველა საფეხურზე.

ნათია მოსმაკაძე
განათლების საკითხების მკვლევარი

სამოქალაქო განათლების პრაქტიკები და დემოკრატიული სკოლის კონცეფცია

> სამოქალაქო განათლების ხედვები დროთა განმავლობაში და თანდათან უფრო და უფრო სწრაფად ფართოვდება და კიდევ უფრო მეტი სიღრმისეულობით ხასიათდება.

შესავალი

მოქალაქეობისა და სამოქალაქო განათლების კონცეფციები დღითიდღე მეტ დატვირთვას იძენს განათლების მსოფლიო დღის წესრიგში და უფრო მეტად ხდება განათლების თეორიის, კვლევის, პოლიტიკისა და პრაქტიკის ცენტრალური განზომილება (Veugelers and Groot, 2019). მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო განათლების განხორციელების ხედვები და ფორმები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, ამოსავალი წერტილი სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების განვითარებაა მოსწავლეებში მათი სამოქალაქო იდენტობის ფორმირებისათვის (Ray, 2010). სამოქალაქო განათლების ხედვები დროთა განმავლობაში და თანდათან უფრო და უფრო სწრაფად ფართოვდება და კიდევ უფრო მეტი სიღრმისეულობით ხასიათდება (Gutman, 2001). „გაფართოება“ გულისხმობს იმას, რომ მოქალაქეობა აღარ არის მხოლოდ ეროვნულ მიზნებთან მიმართებაში გათავისებული, არამედ განიხილება რეგიონულ (მაგ. ევროპული მოქალაქეობა) და კიდევ უფრო ფართო—მსოფლიო განზომილებაში (გლობალური მოქალაქეობა). რაც შეეხება „სიღრმისეულობას“, ის გულისხმობს სამოქალაქო განათლების პოლიტიკური მიმართებიდან სოციალურ და კულტურულ დონეებზე გაშლასა და გაფართოებას (ICCS, 2009). საგულისხმოა ისიც, რომ სამოქალაქო განათლების ცალსახა დემოკრატიული ბუნების მიუხედავად, პიროვნების, როგორც იდენტობის განვითარება არ წარმოადგენს თავისუფალი ინდივიდის თავისუფალ ნებას,

არამედ არის სკოლების სოციალიზაციის მცდელობის პირდაპირი სამიზნე, რომელსაც კოორდინაციას უწევს ეროვნული მთავრობა (Hanson and Howe, 2011).

სამოქალაქო განათლება მეტწილად ოთხი ძირითადი ასპექტის ერთიანობად არის წარმოდგენილი, რომელიც აერთიანებს: 1. პოლიტიკურ წიგნიერებას; 2. კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიტიკურ უნარებს; 3. დამოკიდებულებებსა და ღირებულებებს; 4. აქტიურ მონაწილეობას (EACEA, 2012).

მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო სისტემები აქცენტს სამოქალაქო განათლების მნიშვნელობასა და სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციების შეძენაზე აკეთებენ, ის მიმართულებები, რომლებიც სასკოლო დონეზე შესაბამისი საკითხების განხორციელებას უკავშირდება, ქვეყნების მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებულია. უფრო კონკრეტულად, მსოფლიოს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების უმეტეს ნაწილში სამოქალაქო განათლება სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს და მისი სწავლება დამოუკიდებელი საგნის ან ინტეგრირებული კონცეფციის ფორმით მიმდინარეობს. ასევე, ბევრ განათლების სისტემაში სამოქალაქო განათლება წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელი საგანი, ასევე არის ინტეგრირებული რამდენიმე საგნობრივ სტანდარტში ან კონკრეტულ საგნობრივ მიმართულებაში. რიგ შემთხვევებში, მოქალაქეობის განათლებასთან დაკავშირებული ელემენტები ინტეგრირებულია ეროვნული განათლების სისტემის ზოგად მიზნებსა და ღირებულებებში, მაგრამ არ არის ცალკე მოთხოვნის სახით წარმოდგენილი საგნობრივ სწავლებაზე დაფუძნებული მოქალაქეობის სტანდარტში და არც კურიკულუმთაშორისი მიდგომით სწავლებაშია გაწერილი.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ისიც, რომ სამოქალაქო განათლების ხედვებს შორის განსხვავება არა მხოლოდ ეროვნულ სისტემებს შორის, არამედ სასკოლო განათლების საფეხურებს შორის და სკოლის ტიპების მიხედვით განსხვავებასაც გულისხმობს. მაგალითად, ჩეხეთის განათლების სისტემაში სკოლები, საკუთარი ფართო ავტონომიის ფარგლებში, უფლებამოსილნი არიან, თავად გადაწყვიტონ სამოქალაქო განათლების, როგორც დამოუკიდებელი საგნის, თუ ინტეგრირებული კონცეფციის სწავლება. გერმანიაში, სამოქალაქო განათლების სტატუსი დამოკიდებულია კონკრეტული მიწის (Bundesland) განათლების პოლიტიკის გადაწყვეტილებაზე, ხოლო ნორვეგიაში, დიდ ბრიტანეთში, სლოვენიასა და რუმინეთში კი, სამოქალაქო განათლება არა სავალდებულო, არამედ არჩევითი საგანია. კიდევ ერთი განსხვავება უკავშირდება სამოქალაქო განათლების სწავლების ხანგრძლივობას; მაგალითად, საფრანგეთში მისი სწავლება სასკოლო განათლების სრულ პერიოდში, 12 წელი მიმდინარეობს, პორტუგალიაში – 9 წელი, ხოლო პოლონეთში – 6 წელი. ნიდერლანდების სამეფოში სამოქალაქო განათლების სწავლების ხანგრძლივობა 2 წელია, ხოლო საბერძნეთსა და თურქეთში კი – 1 წელი. ლიეტუვაში სკოლებს აქვთ უფლებამოსილება, თავად გადაწყვიტონ, გაანაწილებენ 2-საათიან კვირეულ დატვირთვას ორ წელიწადზე, კვირაში ერთსაათიანი თუ ერთ წელიწადზე – კვირაში ორსაათიანი დატვირთვით.

დემოკრატიული სკოლების როლი სამოქალაქო მანათლების მაძიებლებში

.საგანმანათლებლო სისტემებში დემოკრატია ორ ძირითად მიმართულებას იძენს. ესენია: დემოკრატიის სწავლება და დემოკრატიის ჩვენება მოსწავლეებისათვის. საგულისხმოა, რომ დემოკრატიის სწავლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის მოწყობასა და განვითარებაზე. აქ იგულისხმება ის აქცენტები,

საგანმანათლებლო სისტემებში დემოკრატია ოთ ძირითად მიმართულებას იძენს. ესენია: დემოკრატიის სწავლება და დემოკრატიის ჩვენება მოსწავლეებისათვის.

რომლებიც სწავლების პროცესში განსაკუთრებით იკვეთება. მაგალითად, ახლადაღმოცენებული, განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში ფოკუსი კეთდება იმაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი განათლების საშუალებით ხელი შეეწყოს დემოკრატიულად მოაზროვნე მოქალაქეების ფორმირებასა და დემოკრატიული კულტურის წახალისებას. დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში კი, აქცენტები გადადის დემოკრატიულ პროცესებსა და პრაქტიკებში მოსწავლეების ინტერესისა და ჩართულობის შენარჩუნებაზე.

იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო განათლება მიიჩნევა დემოკრატიული აზროვნებისა და ღირებულებების დანერგვისა და გაძლიერების უპირველეს ფოკუსად სკოლებში, ის წნეხი, რომელიც ამ მიმართულებით არსებობს მსოფლიოს ქვეყნებში, მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალურ-კულტურული განვითარების მიუხედავად, ბადებს კითხვებს იმ მხარდაჭერის ფორმების შესახებ, რომლებიც საჭიროა მოსწავლეებს შორის საჭირო ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებისათვის. როგორ უნდა გავზარდოთ მოქალაქეები, რომლებსაც შეუძლიათ და სურთ დაიცვან არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვათა უფლებები და ინტერესები? რა არის სკოლის იდეალური როლი ამ პროცესში?

კულტურული გამოცდილება აჩვენებს, რომ კომპეტენციებისა და უნარების ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობა მათი კულტივირებაა. ეს ეხება იმ პირებსა და ჯგუფებს, ვინც დემოკრატიის არსებობისათვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენენ (Walker & Unterhalter, 2007; Otto & Ziegler 2010). ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს დემოკრატიული გამოცდილების კულტივირების შესაძლებლობა – არა მხოლოდ ელიტური ჯგუფების, არამედ ყველა ბავშვისა და მოზარდისთვის – სკოლაა. არც ერთი სხვა სისტემა არ ფარავს ახალგაზრდა თაობას სრულად. დემოკრატიის აყვავებისათვის და დემოკრატიის, როგორც სასიცოცხლო პრინციპის ახალგაზრდების მიერ სრულად გათავისებისა და შესისხლხორცებისათვის მნიშვნელოვანია, სკოლის სასკოლო ლიდერობისა და პედაგოგიური კორპუსის გაძლიერება, იმისათვის, რომ მათ თავის მხრივ შეძლონ ახალგაზრდების, როგორც დემოკრატიული ზრდასრული ადამიანების მომზადება სამომავლო ცხოვრებისათვის (Edelstein, 2011).

სკოლები პასუხისმგებლები არიან მოსწავლეების მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობებისათვის მოსამზადებლად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ ბავშვების უშუალო სოციალური წრე, მათი ოჯახები, მშობლები წინააღმდეგობაში მოდიან ძირითად სამოქალაქო კონცეფციებთან. როულსის (1971) მიხედვით, განათლებამ უნდა მოამზადოს ბავშვები, „როგორც საზოგადოების სრულფასოვანი თანამშრომლები და აღჭურვოს ისინი საკუთარი თავების მხარდაჭერისა და გაძლიერებისათვის საჭირო უნარებით. სამოქალაქო განათლებამ ასევე უნდა წაახალისოს იმ პოლიტიკური სიკეთეების გააზრება და გათავისება

მოსწავლეების მიერ, რომლებიც მათ მოამზადებს სოციალური სამართლიანობის პრინციპების გატარებისა და დამკვიდრებისათვის საზოგადოებაში ურთიერთქმედებისას. „პოლიტიკური სიკეთეები“ მოიცავს ტოლერანტობას და ურთიერთპატივისცემას, ასევე სამართლიანობისა და ცივილურობის ცნებებს. სამოქალაქო განათლება, ასევე უნდა ასწავლიდეს ყველა ბავშვს „კონსტიტუციური და სამოქალაქო უფლებების ცოდნას... „რათა გარანტირებულად უზრუნველყოს მოსწავლეების მუდმივი და გრძელვადიანი წევრობა [მათი უშუალო გარემოცვის სოციოკულტურულ ჯგუფებში], იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ეს წევრობა არ არის დაფუძნებული მათი ძირითადი უფლებების უგულებელყოფაზე ან დასჯის შიშზე იმ დანაშაულისათვის, რომელიც არ არსებობს“ (Biesta (2011).

ამ მიმართებით, განსაკუთრებით იკვეთება დემოკრატიული სკოლის კონცეფციის აუცილებლობა და მნიშვნელობა სამოქალაქო განათლების ჭეშმარიტი მიზნების განსახორციელებლად. გუარო (2005) ამტკიცებს, რომ დემოკრატიული სკოლა – სამართლიანი სკოლაა, რომელიც საკუთარი კულტურის დემოკრატიული რეკონსტრუქციის ვალდებულებას აგვარებს მოქალაქეების ზრდისათვის, ყველა მოსწავლის სწორი, დისკრიმინაციისგან თავისუფალი ინტეგრაციის და ისეთი განათლების უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც მოსწავლეებს ჰარმონიული თანაცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობის საშუალებას აძლევს. დემოკრატიული სკოლა ერთგული უნდა იყოს მრავალმხრივობისა და ინკლუზიურობის პრინციპებისა იმ მუშაობის პროცესში, რომელიც სწავლების განხორციელებისას მოსწავლეების აკადემიური წარმატებების მიღწევის მიზანს ატარებს (Feito, 2009). ამავდროულად, დემოკრატიული სკოლის გარემო განსაზღვრავს სკოლის მახასიათებლების ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს სამოქალაქო და მოქალაქეობრივი კომპეტენციების ერთობლიობის ფორმირებას ისევე, როგორც მოსწავლეების დამოკიდებულებებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებას პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით. ეს მახასიათებლები კი წარმოადგენენ სკოლის გარემოს მრავალკომპონენტიანი კონსტრუქციის ინტეგრალურ ნაწილს, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლეების სასწავლო მიღწევებსა და სკოლის ზოგად ფუნქციონირებაზე (Vieno, et.al. 2005).

დემოკრატიული სკოლის გარემოს ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს სწავლა-სწავლების პრაქტიკები (Sampermans, 2019). უფრო კონკრეტულად კი დემოკრატიული სკოლის გარემოს ფარგლებში, პედაგოგიური პრაქტიკების ისეთი განზომილებები, რომლებიც უპირველესად „აქტიური პრაქტიკების“ გამოყენებას წაახალისებს და ხელს უწყობს მოსწავლეების თანატოლებთან, მასწავლებლებსა და თემის წარმომადგენლებთან ინტერაქციას სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობის საშუალებით, რაც დემოკრატიული სკოლის გარემოს განვითარებისათვის კატალიზატორის როლს თამაშობს (Dewey, 2009). ამ ტიპის აქტივობებია: სათემო დახმარებისა და მონაწილეობის პროექტები, სასკოლო მმართველობის პროცესებსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა, ისევე, როგორც დებატები და დისკუსიები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ღონისძიებებში.

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც იღებენ მაღალხარისხიან სამოქალაქო განათლებას სკოლაში, უკეთ ერკვევიან საჯარო საკითხებში, განიხილავენ პოლიტიკურ ჩართულობას, როგორც სათემო გამოწვევების გადაჭრის საშუალებას და მონაწილეობას იღებენ სამოქალაქო აქტივობებში. მოსწავლეები კი, მიუხედავად იმისა, სწავლობენ ისინი საქალაქო, სასოფლო, მძიმე სოციალურ თუ უმცირესობათა გარემოში, ხარისხიანი სამოქალაქო განათლების ფონზე, თანატოლებზე უკეთეს აკადემიურ შედეგებს აჩვენებენ (Geme&Suarez, 2023).

შესაბამისად, დემოკრატიული სკოლა გულისხმობს ისეთი პედაგოგების მუშაობას სასკოლო გარემოში, რომელთაც აქვთ უნარი, ნება, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, უპასუხონ დემოკრატიული სკოლის მიზნებსა და სამოქალაქო განათლების მიერ დანახულ საჭიროებებს.

დემოკრატიული სკოლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სამოქალაქო განათლების გაძლიერებასა და მის სწორად წარმართვაში იმ აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფის საშუალებით, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებზე, პრაქტიკებსა და ღირებულებებზეა დაფუძნებული. დემოკრატიული საგანმანათლებლო ინსტიტუციების მიზანი მოსწავლეებსა და სტუდენტებში დემოკრატიის, სოციალური თანასწორობის, ადამიანის უფლებების, სამოქალაქო ჩართულობის კონცეფციების სიღრმისეული გააზრება და გასიგრძეგანებაა. დემოკრატიული სკოლების ხელშეწყობა, ერთი მხრივ, ძალიან კომპლექსური და მრავალკომპონენტიანია, მეორე მხრივ კი—ხელშეწყობის ასპექტების გამოყოფა და ხაზგასმა შესაძლებელი და მნიშვნელოვანია მათი დანერგვისკენ პრაქტიკული სწრაფვისათვის. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

დემოკრატიული პრინციპების ექსპერიმენტული სწავლა: დემოკრატიული სკოლები დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებით ფუნქციონირებენ. შესაბამისად, მოსწავლეები უფლებამოსილნი არიან ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკუთარ განათლებასთან დაკავშირებით. მათი აზრი მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმის ჩამოყალიბების, სკოლის მართვის ორგანოს სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და ოპერირების, სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებული პრიორიტეტების გამოთქმისა და არგუმენტირებული არჩევანის, თანამშრომლების მხარეებისა და ფორმის შერჩევის თვალსაზრისით. პრაქტიკული გამოცდილება აძლიერებს მათ დემოკრატიულ ცნობიერებას და დემოკრატიის მნიშვნელობის გააზრებას და ნერგავს ანგარიშვალდებულების გრძნობას საკუთარი ოჯახის, სკოლის მეგობრების, სასკოლო საზოგადოების, პედაგოგებისა თუ ადმინისტრაციის, საკუთარი თემის წინაშე.

მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის პატივისცემა: დემოკრატიულ სკოლებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიის პატივისცემაზე. ამ სკოლებში მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მთლიანად სასკოლო საზოგადოება და არა ცალკეული მასწავლებლების ან მოსწავლეების ჯგუფი იყოს ჩართული მრავალფეროვნების მიმართ მაღალი მიმღებლობით გაჯერებული გარემოს შექმნაში. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება კულტურული, სოციალური და იდეოლოგიური მრავალფეროვნების მიმღებლობისა და ინკლუზიისაკენ მიმართული ნაბიჯები. დემოკრატიულ სკოლებში შემუშავებულია მოსწავლეების წახალისების სპეციალური, კარგად მოფიქრებული მექანიზმები მოსწავლეთაშორისი დიალოგის, თანამშრომლობის, ურთიერთდახმარების სტიმულირებისათვის. მოსწავლეების კონკრეტული ცხოვრებისეული გამოცდილებების, სიტუაციებისა და წარმომავლობის შესახებ საუბარი, განხილვა, სიამაყე, პოზიტიური შტრიხების დანახვა და გამოყოფა, საერთო ინტერესი და ამის შესახებ სერიოზული დიალოგი კი მიმღებლობის, სხვისი პერსპექტივების გათავისებისა და განსხვავების აღიარებისა და პატივისცემის დანერგვის პლატფორმას წარმოადგენს. ტოლერანტობა, ემპათია და განსხვავებული მოსაზრებების მიმართ სიმპათიები—ყველა ასაკის მოსწავლეებისა და ყველა საფეხურის სწავლების შესაბამისი საკითხებით და მიდგომებით ინერგება. ამ ხედვების, გეგმებისა და აქტივობების ამოსავალ წერტილს კი, სამოქალაქო განათლება წარმოადგენს.

სამოქალაქო ჩართულობა და აქტიური მონაწილეობა: დემოკრატიული სკოლები მოსწავლეებს წაახალისებენ საკუთარი თემში აქტიური ჩართულობისათვის და ანიჭებენ მათ ინიციატივის აღებისათვის საჭირო ცოდნას, თვითრწმენას და ინსტიტუციურ მანდატს. დემოკრატიული სკოლები საკუთარ მხარდაჭერას მოსწავლეების მიმართ ოფიციალურად აფიქსირებენ და ხელს უწყობენ ადგილობრივ თემთან ურთიერთობების გაღრმავებას, ნდობის მოპოვებას და თემის წევრების მიერ მოსწავლეების მხარდაჭერას. მოსწავლეები ხშირად გეგმავენ თემის დახმარებაზე ორიენტირებულ პროექტებს და პრაქტიკულ გამოცდილებას აგროვებენ სოციალური საკითხების მოგვარებისა და საზოგადოების განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის გზით. დემოკრატიულ სკოლებში, სწორედ ამ ტიპის მუშაობის შედეგების ანალიზსა და თვითშეფასებასთან ერთად, ფასდება მოსწავლეების აკადემიური ცოდნა და აისახება შესაბამის შეფასებაში. დემოკრატიულ სკოლებში არსებობს სივრცეები, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ გამოცდილებას, საუბრობენ გამოწვევებზე, რომლებიც პროექტის განხორციელების პროცესში შეხვდათ, საკუთარ პასუხზე ამ გამოწვევებთან მიმართებით, მიღებული გამოცდილების საფუძველზე დანახულ შესაძლო ალტერნატიულ გამოსავალსა და ამ გამოსავლის უპირატესობაზე. შესაბამისად, დემოკრატიული სკოლები ღიაა ურთიერთსწავლებისა და სწავლისათვის, რაც თანამშრომლობაზე დაფუძნებული ახალ-ახალი ინიციატივების დასაწყისი ხდება.

> საერთო კვლევა აღესტურებს, რომ ის მოსწავლეები, რომლებიც იღებენ მაღალხარისხიან სამოქალაქო განათლებას სკოლაში, უკეთ ეჩვევიან საჯარო საკითხებში, განიხილავენ პოლიტიკურ ჩართულობას, რომრომ სათემო მეწარმეობის მაღაჭრის საშუალებას და მონაწილეობას იღებენ სამოქალაქო აქტივობებში.

კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო უნარების განვითარება: დემოკრატიულ სკოლებში პრიორიტეტს წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარება. ამისათვის, წახალისებულია მოსწავლეთა ჩართვა საკლასო და სასკოლო დისკუსიებსა და დებატებში, ურთიერთთანამშრომლობით აქტივობებში, სადაც ანალიზი, მტკიცებულებების შეფასება, ინფორმირებული მოსაზრებების ფორმულირება – სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უნარებად მიიჩნევა და დემოკრატიული საზოგადოების შენების, ამ საზოგადოებაში ჩართულობის წინაპირობად განიხილება.

კონფლიქტის მოგვარება და დემოკრატიული დიალოგი: ამ სკოლებში მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილია კონფლიქტის გადაჭრის კონსტრუქციული გზების მოძიების, დიალოგის, მოლაპარაკებებისა და მედიაციისათვის სხვადასხვა ტიპის პლატფორმა. კონფლიქტის მოგვარების უნარების სწავლება მოსწავლეებს ეხმარება, შეიმეცნონ პატივისცემაზე დაფუძნებული კომუნიკაციის, კომპრომისისა და საერთო შეხების წერტილების ძიების ძალა სამოქალაქო დისკურსში.

დემოკრატიული ღირებულებების მოდელირება: სკოლები პოზიციონირებენ, როგორც დემოკრატიული საზოგადოების მიკროსქემები და შესაბამისად, წარმოადგენენ დემოკრატიული ღირებულებებისა და პრაქტიკების მოდელებს. მასწავლებლები და ადმინისტრაცია თავად ახდენენ დემოკრატიული ქცევის მოდელირებას და წაახალისებენ მოსწავლეებს, მოახდინონ ამ ღირებულებების ინტეგრირება და გამოყენება საკუთარ ინტერაქციაში სხვებთან, როგორც სკოლის კედლებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის აღიარების წახალისება: დემოკრატიული სკოლები ასაზრდოებენ სამოქალაქო პასუხისმგებლობის აღიარებისა და საკუთარ თავზე აღების, ეთიკური ქცევის იდეას. შესაბამისად, ამ სკოლებში განსაკუთრებით იკვეთება დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის მნიშვნელობა, სოციალური სამართლიანობისკენ სწრაფვა, სხვათა უფლებების ადვოკატირება და შესაბამისად, მოსწავლეთა პასუხისმგებლობით სავსე, აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება.

დემოკრატიული სკოლები წარმოადგენენ დინამიურ საგანმანათლებლო სივრცეებს, სადაც სამოქალაქო განათლების გაძლიერება ხორციელდება დემოკრატიული ღირებულებების დანერგვის, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის გამოვლენის წახალისების, კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის საშუალებით. ამასთან, სკოლის ხედვა, სასკოლო კულტურა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა სწორედ დემოკრატიული სკოლის, როგორც ხედვისა და სასკოლო ფუნქციონირების გამთლიანებისა და ინტერნალიზაციის ინსტრუმენტად მიიჩნევა.

მასწავლებლის ავტონომია სამოქალაქო განათლებისათვის

აკადემიურ ლიტერატურაში მასწავლებლის ავტონომია არაერთ კონტექსტსა და განზომილებაში განიხილება. ერთ-ერთი, განსაკუთრებით საინტერესო ინტერპრეტაციის მიხედვით, ავტონომია გულისხმობს მასწავლებლის გადაწყვეტილების მიღების უნარს შინაარსსა და სასკოლო სამუშაო პირობებთან დაკავშირებით, რომელიც განპირობებულია მისი მართვის და სირთულეების გამკლავებისათვის მზაობით ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Ingersoll, 2003). ამ კონტექსტში აქცენტი კეთდება მასწავლებლის გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და მასწავლებლის პროფესიული სამუშაოს კონტროლის ასპექტებზე. ეს კი საშუალებას იძლევა დავინახოთ, როგორია მასწავლებლის გადაწყვეტილების მიღების ხარისხი სასწავლო გეგმის ინტერპრეტაციასთან მიმართებით ყოველდღიურ საქმიანობაში და რა ფაქტორები ახდენს განსაკუთრებულ გავლენას მის გადაწყვეტილებებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარემო და მოცემულობა, სადაც მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებებს და ახორციელებს საკუთარ პასუხისმგებლობებს, წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას საგანმანათლებლო ორგანიზაციებისათვის საკუთარი მიზნების განხორციელების, კვალიფიკაციური მასწავლებლების ზრდისა და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერისათვის, რათა მასწავლებლებს შესაძლებლობა მიეცეთ, გამოავლინონ საკუთარი ლიდერული უნარები . (Webb, 2002).

მასწავლებელთა ავტონომია სამოქალაქო განათლების კონტექსტში უკავშირდება პედაგოგიურ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, ისევე, როგორც სწავლების მეთოდებისა და მიდგომების შერჩევას და სამოქალაქო განათლების შედეგების

შეფასებას კლასისა და ინდივიდუალური მოსწავლის დონეზე (Wilches, 2007). სამოქალაქო განათლება, რომელიც სხვადასხვა სახელწოდების, მოდელის, მიდგომის, კონცეპტუალური ხედვისა და ფორმის სახით ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანაში, მიზნად ისახავს მოსწავლეების აღჭურვას იმ ტიპის ცოდნით, უნარებითა და ღირებულებებით, რომლებიც საჭიროა აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე დემოკრატიული საზოგადოების წევრობისათვის.

ᲠᲐ ᲐᲡᲠᲔᲥᲢᲔᲑᲘᲐ ᲛᲐᲦᲐᲜᲬᲧᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲨᲘ?

სასწავლო გეგმის ინდივიდუალური დიზაინი და მორგება სამოქალაქო განათლების ჭეშმარიტ მიზნებთან: მასწავლებლები, რომლებიც კარგად აფასებენ საკუთარ პროფესიულ დამოუკიდებლობას და აცნობიერებენ იმ ძალის გავლენას, რომელიც მათ ხელთ არის, სასწავლო გეგმას სამოქალაქო განათლების მიზნებს უკავშირებენ რელევანტური საკითხების, პრაქტიკული და სასწავლო მაგალითების ინტეგრირების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ დისკუსიების, დემოკრატიული პრინციპების, სოციალური სამართლიანობის საკითხებისა და პოლიტიკური პროცესების განხილვის კვალდაკვალ. სამოქალაქო განათლების კარგი სასწავლო გეგმა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეების სასიცოცხლო სამოქალაქო ცოდნის შექმნაზე და ბიძგს უნდა აძლევდეს მოსწავლეებს შორის თვითგანვითარებისკენ სწრაფვას, რომელიც მეტი ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღების სურვილში უნდა ითარგმნებოდეს.

პედაგოგს აქვს თავისუფლება, რათა შეიმუშაოს ან მოარგოს სასწავლო გეგმა რელევანტურ სამოქალაქო საგანმანათლებლო საკითხებს, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სოციალური თანასწორობის, სამოქალაქო ჩართულობის, პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობის თუ სამოქალაქო პასუხისმგებლობის კონტექსტში. მეტიც, მასწავლებელს შეუძლია, განახორციელოს ისეთი ღონისძიებების, პრაქტიკული და სასწავლო მაგალითებისა თუ ინტერაქციული აქტივობების ინტეგრირება სასწავლო პროცესში, რომლებიც მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართულობას, კრიტიკული უნარების განვითარებასა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კითხვების დასმასა და პასუხების ძიების ამოცანებს ატარებს.

სასწავლო მიდგომები და სტრატეგიები: პედაგოგი უფლებამოსილია, შეარჩიოს და დანერგოს პედაგოგიური მეთოდები და სწავლების სტრატეგიები იმისდა მიხედვით, როგორც ეს კონტექსტში არსებულ სწავლის სტილსა და მოსწავლეების საჭიროებას შეესაბამება. ამგვარი მიდგომები კი გულისხმობს ფართო, წარმომადგენლობით დებატებს, სიმულაციებს, ჯგუფურ დისკუსიებს, როლურ თამაშებს, თემის გაძლიერებაზე ორიენტირებულ პროექტებსა და მოხალისეობრივ ინიციატივებს, მოწვეულ სპიკერს, მულტიმედიურ რესურსებს და კიდევ მრავალ სხვას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არ დაიკარგოს მიდგომების თუ სტრატეგიების გამოყენების მიმართება, მიზანი და თავად ინსტრუმენტის გამოყენება არ გახდეს ძირითადი ამოცანა.

მიდგომებს შორის ასევე მნიშვნელოვანია დემოკრატიული ღირებულებებისა და ქცევის მოდელირება საკლასო ოთახში, რომელიც ხელს უწყობს განსხვავებული მოსაზრებების აუდიტორიისათვის თამამად გაზიარების, დებატების, არგუმენტების საშუალებით საკუთარი მოსაზრებების დაცვის, მოსწავლეებს შორის თანამშრომლობისა და ერთმანეთის მხარდაჭერის კულტურის გაძლიერებას.

ასევე მნიშვნელოვანია, ეთიკური გადაწყვეტილების მიღების დანერგვა სწავლა-სწავლებაში. სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს, მათი საგნობრივი კომპეტენციების მრავალმხრივობიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, აღმოაჩინონ ეთიკური დილემები და გადაჭრის საშუალება მიეცეთ სამოქალაქო კონტექსტში. სამოქალაქო ჩართულობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა ეთიკური საკითხის გათვალისწინების შესახებ დიალოგი და რეფლექსია მოსწავლეებს უბიძგებს საკუთარი და სხვების ქცევებისა და გადაწყვეტილებების შედეგების განხილვისკენ უფრო ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში და ამგვარად, ავითარებს სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების დანახვის უნარებს.

შეფასების მიდგომების შერჩევა და რეფლექსიური სისტემების დანერგვა: მასწავლებლებს შეუძლიათ დამოუკიდებლად შეარჩიონ შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც კარგად ეხმიანება სამოქალაქო განათლების მიზნებს. ასეთი შეფასება შეიძლება მოიცავდეს ესეებს, პრეზენტაციებს, პროექტებს, სამოქალაქო აქტივობის სხვადასხვა გეგმას ან რეფლექსიებს, რომლებიც კარგად აჩვენებს მოსწავლეების სამოქალაქო აზროვნების პრინციპებს, სამოქალაქო საკითხების ანალიზის უნარებს ან ინფორმირებული და საპასუხისმგებლო სამოქალაქო ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო კომპეტენციებს.

შეფასებისას მასწავლებელს შეუძლია შეიმუშაოს შეფასების ისეთი სისტემა, რომელიც ზომავს მოსწავლეების სამოქალაქო კონცეფციების გააზრებისა და კრიტიკული აზროვნების სიღრმისეულობას, ისევე, როგორც ცოდნის რეალურ კონტექსტში გამოყენების უნარს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამოქალაქო განათლების კონტექსტში შეფასების კრიტერიუმების მრავალფეროვნებაა, რომლებიც სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, მათ შორის—პროექტებს, პრეზენტაციებს, დებატებს, თემის მხარდაჭერაზე ორიენტირებულ აქტივობებს, მოსწავლეების ურთიერთმხარდაჭერის მაგალითებს, საკლასო მოსაზრების ჩამოყალიბებაზე გავლენებს, პოზიტიური ქცევის განმტკიცებას, საკლასო/სასკოლო საზოგადოების წახალისებას თუ მობილიზებას და კიდევ მრავალ საინტერესო კომპონენტს შეიძლება აერთიანებდეს.

ადგილობრივ კონტექსტთან ადაპტირების უნარი: მასწავლებელს ავტონომიურობა სამოქალაქო განათლების კონტენტის არსებულ ადგილობრივ თუ რეგიონულ კონტექსტზე მორგების საშუალებას აძლევს, რაც, თავის მხრივ, კონკრეტული სამოქალაქო საკითხების წამოწევას, თემის საჭიროებებზე მორგებას თუ მოსწავლეების კულტურული თავისებურებების გათვალისწინებას გულისხმობს მათთან მუშაობის პროცესში. ამასთან, შინაარსის შესაბამისი მორგება ადგილობრივ კონტექსტთან აუმჯობესებს სამოქალაქო განათლების რელევანტურობასა და პრაქტიკულობას უშუალო განხორციელების გარემოში.

პროფესიული განვითარების შესაძლებლობები: სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შესაძლებლობის მუდმივობა და უწყვეტობა შეიძლება ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანია სკოლის პედაგოგიურ კორპუსში თავად საგნის განვითარების დინამიკიდან გამომდინარე. შესაბამისად, სიახლეებისა და საუკეთესო პრაქტიკების მყისიერი წვდომა, ახალი პედაგოგიური მიდგომების გაცნობა და აქტუალური სამოქალაქო საკითხების განსაზღვრა და ანალიზი პედაგოგიური საქმიანობის სინთეზურ ნაწილს წარმოადგენს. ამასთან, სწორედ პროფესიული განვითარება წარმოად-

გენს მასწავლებლის დამოკიდებულებისა და ავტონომიის ყველაზე მძლავრ მხარდამჭერ კონცეფციას მოსწავლეებისათვის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებისა და ეფექტური სამოქალაქო განათლების მისაწოდებლად.

თანამშრომლობა და კოლეგებთან კოლაბორაცია: სრული ავტონომიის აუცილებლობის პირობებში, კოლეგებთან, ადმინისტრაციულ კადრებსა და ადგილობრივ თემსა და სათემო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის გაძლიერების ძლიერ მექანიზმს წარმოადგენს, რადგან ინტერესის მხარეებს შეუძლიათ ისეთი დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენა, რომელიც ქმნის დამატებით ადამიანურ კაპიტალს, სასწავლო და ფინანსურ რესურსებს, მრავალმხრივ პერსპექტივებს სამოქალაქო ინიციატივების გამრავალფეროვნებისათვის. თანამშრომლობამ შეიძლება ხელი შეუწყოს საუკეთესო და წარმატებული პრაქტიკების ეფექტურ გაზიარებას, სამოქალაქო განათლების პროცესში იდენტიფიცირებული გამოწვევების გადაჭრის გზების ერთობლივად იდენტიფიცირებას და მათ მოგვარებას.

კრიტიკული აზროვნებისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენის წახალისება მასწავლებლებს სხვადასხვა სწავლების სტრატეგიების გამოყენების საშუალებით შეუძლიათ. მნიშვნელოვანია მოსწავლეების გაძლიერება ინფორმაციის კრიტიკულად განხილვის, წყაროების შეფასების, კარგად არგუმენტირებული შეხედულებების ფორმირებისათვის საჭირო უნარების განვითარება მოსწავლეებს შორის, რაც მოსწავლეებისათვის უფლებებისა და მოვალეობების დელეგირების, მათი კომპეტენციების მიმართ მაღალი ნდობის დაფიქსირებისა და მათი შეხედულებების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გამოვლენის საშუალებით უნდა მიიღწეს.

მასწავლებელთა ავტონომიას სამოქალაქო განათლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეებს შორის აქტიური მოქალაქეობის წახალისებისა და მოსწავლეების ინფორმირებული, ჩართული და პასუხისმგებლობით გამსჭვალული საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბებისათვის. იმდენად, რამდენადაც ავტონომიურობა გულისხმობს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების დაბალანსება თანამშრომლობასა და მხარდაჭერასთან, სამოქალაქო განათლების მასწავლებლის როლი ჯანსაღი სასკოლო სისტემის ჩამოყალიბებაშიც უდავოდ მნიშვნელოვანია.

ნარჩევებული პრაქტიკული მაგალითები

მსოფლიო ქვეყნების საგანმანათლებლო პრაქტიკები მდიდარია საინტერესო და ღირებული გამოცდილებით სამოქალაქო განათლების განხორციელებისას, ინოვაციური მიდგომების გამოყენებისა და შთამბეჭდავი შედეგების მიღების თვალსაზრისით. ქვემოთ მოყვანილია განსხვავებული საგანმანათლებლო სისტემების ფარგლებში, სხვადასხვა ტიპის სკოლების მიერ განსხვავებულ საფეხურზე განხორციელებული სამოქალაქო განათლების წარმატებული პრაქტიკის მაგალითები.

დანიის სკოლებში სავალდებულო საგნებს შორისაა „სამოქალაქო კვლევები“ და „აქტიური მოქალაქეობა“, რომლებიც მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის

გაძლიერებას უწყობს ხელს, მყარი მტკიცებულებების მოპოვებისა და არგუმენტაციის უნარების განვითარების საშუალებით. შესაბამისად, მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნების უნარები, ეთიკური ცნობიერება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიული მონაწილეობისათვის აუცილებელი კომპეტენციები.

სამხრეთ კორეაში სკოლების ნაწილი ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც ორიენტირებულია ეთიკური განათლებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის პრინციპების გაძლიერებაზე. მორალური და სამოქალაქო განათლების პროგრამა ხაზს უსვამს პიროვნული ხასიათის განვითარების, ეთიკურობისა და კრიტიკული აზროვნების ამოცანებს. პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო სათემო დისკუსიებსა და დებატებში, ისევე, როგორც საზოგადოებრივი სამსახურის პროექტებში, რაც სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასა და კომპეტენციების განვითარებას უწყობს ხელს.

ფინეთში სკოლების ხედვის ნაწილს წარმოადგენს აქტიური მოქალაქეობის კონცეფციის განვითარებისათვის აქტიური ხელშეწყობა. ერთ-ერთი სასკოლო პროგრამა "მე და ჩემი ქალაქი", რომელიც მეხუთე და მეექვსე კლასელი მოსწავლეების ჩართულობით ხორციელდება, საშუალებას აძლევს მათ, თავად მართონ მინიატურული ქალაქი, შეითავსონ სხვადასხვა საჯარო თუ საზოგადოებრივი როლი, გაიუმჯობესონ ფინანსური ცოდნა და შესაბამისად, გააცნობიერონ საზოგადოების ფუნქციონირების ფუნდამენტური პრინციპები. ეს პრაქტიკული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ვალდებულებების გრძნობის ჩამოყალიბებას. საშუალო საფეხურის მოსწავლეებს კი აქვთ ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ეთიკისა და სოციალური კვლევების გაკვეთილები, სადაც საკლასო დროის სრულად 16 პროცენტი გადანაწილებულია სამოქალაქო განათლებაზე.

Mikva Challenge დაარსდა ჩიკაგოში 1998 წელს, მოსამართლე აბნერ მიკვას და მისი მეუღლის ზოი მიკვას მშობლიურ ქალაქში. მათ სურდათ, გაეხსნათ დემოკრატიული სივრცეები ახალგაზრდებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ რესურსულ, პოლიტიკურად „უმნიშვნელო" თემებში. ამჟამად, ორგანიზაცია ახორციელებს სამოქალაქო აქტივობის პროგრამებს და კურიკულუმებს ახალგაზრდებისათვის ილინოისის შტატში. პროგრამაში საშუალო სკოლის 185 მასწავლებელია ჩართული ჩიკაგოში, ავრორასა და ჩრდილო-დასავლეთის გარეუბნებიდან და 10200-ზე მეტ ახალგაზრდას უწევს სერვისს. პროგრამის ფარგლებში, 2500-ზე მეტმა ახალგაზრდამ 70 სკოლიდან შექმნა 100 უნიკალური სათემო სამოქმედო პროექტი, რომელიც ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტაზეა ორიენტირებული, ხოლო ქალაქის ახალგაზრდულმა საბჭოებმა კი, გავლენა მოახდინეს ქალაქის მთავარი ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე.

ონტარიოს მთავრობა აფინანსებს „Connected North"-ის მიერ განხორციელებულ TakingITGlobal პროგრამას, რომელიც ვირტუალური სასწავლო სესიების საშუალებით, მოსწავლეებს და სტუდენტებს აძლევს საშუალებას და უზრუნველყოფს რესურსებს ფოკუსირება მოახდინონ ადგილობრივი შინაარსის მიწოდებაზე ადგილობრივი ტომების წარმომადგენელი განმანათლებლებისა და მენტორების საშუალებით.

ავსტრალია: ავსტრალიაში სამოქალაქო განათლებისა და მოქალაქეობის განათლების პროგრამა მიზნად ისახავს ინფორმირებული და აქტიური მოქალაქეების აღზრდას. ის მოიცავს ინტერაქტიულ რესურსებს, საკლასო აქტივობებს და გამოცდილების სწავლის შესაძლებლობებს, რომლებიც წაახალისებს მოსწავლეებს, კონცენტრირდნენ საკუთარ საზოგადოებრივ როლებზე და აიღონ საკუთარი წილი პასუხისმგებლობები დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

სამოქალაქო განათლებას, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის ნაწილს, საქართველოში არაერთი წლის, საინტერესო ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, ცოტაა ემპირიული მტკიცებულებები სავალდებულო

საგნის მოსწავლეების სამოქალაქო ცნობიერების, კომპეტენციებისა და ამ კომპეტენციების პრაქტიკაში დანერგვის უნარების გაუმჯობესების დინამიკასთან დაკავშირებით. თუმცა, 2018 წელს, საქართველოს ინსტიტუციური განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულმა კვლევამ, რომელიც კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) პროექტის "Towards a culture of peace" ფარგლებში განხორციელდა, სამოქალაქო განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების ზრდა დააფიქსირა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის. ამის დასტურია მშობლების უმრავლესობის მიერ (86,8%) სამოქალაქო განათლების, როგორც აუცილებელი სასკოლო საგნის აღქმა[1]. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სამოქალაქო აქტივობა საკმაოდ დაბალია (განსაკუთრებით კი სასკოლო ასაკის მოზარდებს შორის), შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სამოქალაქო განათლება ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს მოსწავლეების სამოქალაქო ცნობიერებისა და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებასა და სამოქალაქო გააქტიურებაში.

შენიშვნა

[1] მონაცემები მოპოვებულია ილიას უნივერსიტეტის მიერ საჯარო ონლაინ პუბლიკაციაში „მოქალაქეობრივი განათლების მიმართულებით არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და ბიბლიოგრაფია", 2020 https://dcg.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/03/moqalaqeobrivi-ganathleba-sametsniero-literatura-da-bibliographia.pdf (ნანახია 2023 წლის 20 ნოემბერს, 07:56)

გამოყენებული ლიტერატურა

1. A. Vieno, D.D. Perkins, T.M. Smith, M. Santinello, Democratic school climate and sense of community in school: a multilevel analysis, Am. J. Community Psychol. 36 (2005) 327–341, https://doi.org/10.1007/s10464-005-8629-8.
2. D. Sampermans, The Democratic School Climate: Active Citizenship at School, PhD Dissertation, Katholieke Universiteit Leuven, 2019.
3. Dieudé, A., & Prøitz, T. S. (2022). Curriculum policy and instructional planning: Teachers' autonomy across various school contexts. European Educational Research Journal, 0(0). https://doi.org/10.1177/14749041221075156
4. Education, Audiovisual and Culture Executive Agency, EACEA P9 Eurydice (2012), Citizenship Education in Europe, Education, Audiovisual and Culture Executive Agency, 2012
5. Gert J.J. Biesta (2011), Learning Democracy in School and Society Education, Lifelong Learning, and the Politics of Citizenship, Sense Publication
6. Gutmann, A. (1999). Democratic education. Princeton, NJ: Princeton University Press
7. Hanson, Jarrod & Howe, Kenneth. (2011). The Potential for Deliberative Democratic Civic Education. Democracy and Education. 19.
8. Ingersoll, R. (2003). Who controls teachers' work? Power and accountability in American schools. Cambridge, MA: Harvard University Press.
9. J. Dewey, Democracy and Education: an Introduction to the Philosophy of Education, CreateSpace Independent Publishing Platform, Lexington, Kentucky, 2009.
10. J. Kahne, E. Middaugh, Democracy for Some: the Civic Opportunity Gap in High School, CIRCLE, Medford, MA, 2008, https://doi.org/10.2307/j.ctv16f6dbw.
11. Kevin Durkin and H. Rudolph Schaffer (Eds), (2016), The Wiley Handbook of Developmental Psychology in Practice Implementation and Impact, Wiley-Blackwell
12. ფრიდრიხ ებერტის ფონდი (2021), ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე, თბილისი, https://drive.google.com/file/d/1Es13xEJOVqj7PlqV7fZ1aoWnSlz86xkK/view
13. R. Winthrop, The Need for Civic Education in 21st-Century Schools, 2020. https://www.brookings.edu/policy2020/bigideas/the-need-for-civic-education-in21st-century-schools/ . (Accessed 16 November 2023).
14. Ricardo L. Gómez, Ana María Suárez,Pedagogical practices and civic knowledge and engagement in Latin America: Multilevel analysis using ICCS data, Heliyon, Volume 9, Issue 11, 2023, e21319, ISSN 2405-8440, https://doi.org/10.1016/j.heliyon.2023.e21319. (https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2405844023085274)
15. Stitzlein, S. M. (2010). Deliberative democracy in teacher education. Journal of Public Deliberation, 6(1), Article 5.
16. Usma Wilches, J. (2007). Teacher Autonomy: A Critical Review of the Research and Concept beyond Applied Linguistics. Íkala. 12(1), pp. 245-275.
17. Walker, Melanie & Unterhalter, Elaine. (2007). Amartya Sen's Capability Approach and Social Justice in Education. 10.1057/9780230604810.
18. Webb, P.T. (2002). Teacher power: The exercise of professional autonomy in an era of strict accountability. Teacher Development, 6, 47-61.
19. Wolfgang Edelstein (2011), Education for Democracy: reasons and strategies, European Journal of Education, Vol. 46, No. 1, 2011, Part II

მაია ბლიაძე
გეოგრაფიის დოქტორი, მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

ეკონომიკის ფეხის ცვლება მდგრადი განვითარებისთვის

რასაც გავაკეთებთ დღეს ადამიანებისა და ბუნების მიმართ, იგივე დაგვიბრუნდება ჩვენ!

მაჰათმა განდი

მე მსურს მოვახდინო საზოგადოებაში ცვლილებების პროვოცირება და ამისათვის მოდელებია საჭირო.

გიუნტერ პაული, ლურჯი ეკონომიკის ავტორი

ჩატარდა ალბანეთში ეკონომიკა და ჩვ ფეხისაა იმი?

შესავალი

XXI საუკუნის უმთავრესი ამოცანა ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებაა, რის მიღწევაც ეკონომიკის განვითარებით, სამართლიანი და მდგრადი განვითარებითაა შესაძლებელი. ამისათვის აუცილებელია მსოფლიოს ყველა ქვეყანამ ეკონომიკის განვითარებაში ორიენტაცია ადამიანების მოთხოვნილებების ეფექტიანი დაკმაყოფილებისაკენ მიმართოს, აღიაროს სოციალური განვითარების აუცილებლობა და თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემის – სიღარიბის დაძლევისათვის უფრო ეფექტიანი მიდგომა შეიმუშაოს.

მსოფლიოს ეკონომიკის ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ ეტაპზე გადასვლასთან ერთად, ჩვენს პლანეტაზე მკვეთრად გაუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა, რამაც არაერთი გარემოსდაცვითი პრობლემა წარმოქმნა. გარემოსდაცვითი პრობლემები შეუქცევად, გამოუსწორებელ შედეგებს იწვევენ და ამიტომ გლობალურ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს საჭიროებენ. ეკონომიკის ჩვეული და ტრადიციული გზით შემდგომი განვითარება ორ სერიოზულ შეზღუდვას აწყდება. ესენია: გარემოს შეზღუდული შესაძლებლობები წარმოების ნარჩენების მისაღებად და დედამიწის ბუნებრივი რესურსების არაგანახლებადი ბუნება.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ამჟამინდელი ეტაპი განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიული გადასვლისა და მოსახლეობის ზრდის სტაბილიზა-

ციის პირობებში, ხოლო განვითარებად ქვეყნებში, შიმშილისა და სიღარიბის ზონებში მოსახლეობის ზრდის შენარჩუნებით მიმდინარეობს.

ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲐᲬᲕᲐᲜᲔ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ?

ბოლო წლებში გაჩნდა, დამკვიდრდა და უკვე აქტიურად გამოიყენება ტერმინი „მწვანე ეკონომიკა“. ამიტომაც ლოგიკურია, რომ ჩნდება კითხვები: რა არის მწვანე ეკონომიკა? რისთვისაა საჭირო ახალი ეკონომიკა და რატომაა იგი მწვანე? რატომ აღარაა საჭირო ტრადიციული ეკონომიკა და რა ფერისაა იგი?

ახალი ე.წ. „მწვანე“ ეკონომიკის შექმნის აუცილებლობისა და მიზეზების ძებნა დიდხანს არ მოგიწევთ. ზოგჯერ ამისთვის სრულიად საკმარისია ფანჯრიდან გაიხედოთ და ყოველგვარი ხელსაწყოს გარეშეც ადვილად შენიშნავთ, რომ მაგალითად ქალაქი, სადაც თქვენ ცხოვრობთ სმოგში – სამრეწველო ობიექტებიდან და ტრანსპორტიდან გამონაბოლქვით დაბინძურებულ ჰაერშია გახვეული.

თითქმის ჩვენს თვალწინ შეიცვალა კლიმატი, რომელზეც მოქმედებს სამრეწველო ნარჩენები; ადგილი აქვს წყლისა და მიწის რესურსების დაბინძურებასა და ამოწურვას, მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლების შემცირება/გადაშენებას; დაბინძურებული გარემოთი გამოწვეული დაავადებების ზრდა კი პირდაპირ და ცალსახად მიგვანიშნებს, რომ წინანდელი ეკონომიკა კაცობრიობასა და ჩვენს პლანეტას შორის ურთიერთდამოკიდებულების კრიზისს იწვევს, მისი განვითარების შედეგად ჩვენ ვკარგავთ ჯანსაღი ცხოვრებისათვის საჭირო და გამოსადეგ გარემოს.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ?

არსებული ეკოლოგიურ-ეკონომიკური მდგომარეობა პირდაპირ მიუთითებს მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი, ეკოლოგიურად დაბალანსებული განვითარების აუცილებლობაზე. ეკონომიკურ პროცესში გარემოსდაცვითი საკითხების წინა პლანზე წამოწევას ეკონომიკის ეკოლოგიზაცია ეწოდა. ეკონომიკის ეკოლოგიზაცია, ეკონომიკაში რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრინციპების დანერგვისა და გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის პროცესია.

თანამედროვე პირობებში მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნები ისეთ პოზიტიურ გარემოსდაცვით საქმიანობას ახორციელებენ, როგორიცაა ეკონომიკის ეკოლოგიზაცია ანუ „გამწვანება“, ქვეყნების მეურნეობაში „მწვანე“ სექტორების ფორმირება, მოხმარების რაციონალიზაცია, ცხოვრების ეკოლოგიზაცია და სხვ.

2012 წელს ბრაზილიაში რიო+20-ის კონფერენციის ფარგლებში, სახელმწიფოები შეთანხმდნენ „მწვანე“ ეკონომიკის კონცეფციის, როგორც მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის შექმნაზე. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია გულისხმობდა:

- სახელმწიფო მხარდაჭერას და კერძო ინვესტიციების დაბანდებას ცოდნის გავრცელებაზე;
- ნახშირბადის გამონაბოლქვის და დაბინძურების დონის შემცირების ხელშემწყობი ტექნოლოგიებისა და საწარმოების შექმნას;
- მწვანე ტექნოლოგიების მეშვეობით ნარჩენების უფრო საფუძვლიან გადამუშავებას, ენერგიის მოხმარების შემცირებას ან ალტერნატიული ენერგიის მოხმარებას და სხვ.

მთავარი შეღები ადამიანების კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა უნდა იყოს.

მწვანე ეკონომიკის მთავარი შედეგი ადამიანების კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა უნდა იყოს, როდესაც მნიშვნელოვნად მცირდება გარემოს რისკები და ეკოლოგიური დანაკლისები (გაერთიანებული ერების გარემოს განვითარების პროგრამა, 2010 წელი). მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების ისეთი მოდელია, რომელიც ამცირებს ეკოლოგიურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. ის მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ ეკონომიკასთან, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას და სიღარიბის აღმოფხვრას, შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. ის ეკონომიკის სხვა დარგებისაგან იმით განსხვავდება, რომ პირდაპირ აფასებს ქვეყნის ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც აქვს ეკონომიკური ღირებულება.

ხშირად ექსპერტები „მწვანე ეკონომიკას“ „ყავისფერ“ ეკონომიკასთან შეპირისპირებით განიხილავენ, რომელიც ამოწურვადი და არაგანახლებადი საწვავის გამოყენებას ეფუძნება.

„მწვანე“ და „ყავისფერი“ ეკონომიკა

„ყავისფერი“ ეკონომიკა	„მწვანე“ ეკონომიკა
	
შეუზღუდავი ეკონომიკური ზრდა	ეკონომიკური ზრდის განცალკევება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისგან
არაგანახლებადი ენერგორესურსები	განახლებადი ენერგორესურსები
ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენება	ენერგოეფექტურობა
გამონაბოლქვები	სუფთა წარმოება
ბიომრავალფეროვნების განადგურება	ბიომრავალფეროვნების დაცვა
გლობალური სოციალური უთანაბრობა	რეგიონული და ინტერსახელმწიფოებრივი სამართალი

განუსაზღვრელი მოხმარება	მდგრადი მოხმარება
ბიზნესისა და ინვესტორების სოციალური პასუხისმგებლობის არარსებობა	ბიზნესისა და ინვესტორების სოციალური პასუხისმგებლობის არსებობა
საზოგადოების ნდობის შესუსტება	საზოგადოების ნდობის გაზრდა

მწვანე ეკონომიკა ქმნის მწვანე სამუშაო ადგილებს, უზრუნველყობს რეალურ, მდგრად ეკონომიკურ განვითარებას და ამცირებს გარემოს დაბინძურებას, არბილებს კლიმატის ცვლილებას, გარემოს დეგრადაციას და აფერხებს რესურსების გამოლევის საშიშროებას. მწვანე ეკონომიკა სტიმულს აძლევს და მოტივაციას უქმნის ბიზნესს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

დედამიწის რესურსების
რაციონალური გამოყენება და აღდგენა

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის დონის ამაღლება, მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა

ქვეყნების ეკონომიკური პოზიციების გაძლიერება

მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორს მოიცავს:



მწვანე ეკონომიკის ძირითადი პრინციპებია:

- სამართლიანობა და ობიექტურობა, როგორც ერთი თაობის ფარგლებში, ისე თაობათა შორის;
- მდგრადი განვითარების პრინციპებთან თანხვედრა;
- პრევენციული მიდგომა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მიმართ;
- ბუნებრივი და სოციალური კაპიტალის შეფასება, მაგალითად, საგარეო ხარჯების ინტერნაციონალიზაცია;
- რესურსების მდგრადი და ეფექტური გამოყენება, მოხმარება და წარმოება.
- „მწვანე“ სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბის აღმოფხვრა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ზრდა.

როგორც არსებული ტენდენციებიდან ჩანს, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა აქტიურად ნერგავს „მწვანე ეკონომიკას“, რადგან ის 21-ე საუკუნის ბიზნესშესაძლებლობაა. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოს მოსახლეობა მუდმივად იზრდება, მაშინ როდესაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა იგივე რჩება და უფრო მეტიც, მცირდება კიდეც, დღეს „მწვანე ეკონომიკის“ განხორციელება ისეთი აქტუალურია, როგორც არასდროს.

ᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲔᲚᲘ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲘᲓᲔᲐ?

რომის კლუბისადმი 2009 წელს წარდგენილ ანგარიშში ბელგიელმა ბიზნესმენმა, ეკონომისტმა და მწერალმა გიუნტერ პაულიმ „მწვანე“ ეკონომიკის ალტერნატიული იდეა წარმოადგინა, რომელიც შემდგომში მისსავე ცნობილ წიგნს „ლურჯი“ ეკონომიკა: 10 წელი, 100 ინოვაცია, 100 მილიონი სამუშაო ადგილი” დაედო საფუძვლად.

გიუნტერ პაული და მისი წიგნი ლურჯი ეკონომიკა



გიუნტერ პაული ეფექტიანობის მისაღწევად ბუნების კოპირებას გვთავაზობს. მისი აზრით, „ლურჯი“ ეკონომიკა მეცნიერების, ინოვაციებისა და მეწარმეობის გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ბიზნესმოდელია. ავტორს მიაჩნია, რომ იგი „ისეთივე ბრძნული უნდა იყოს, როგორიც ბუნებაა“, ვინაიდან ბუნება ცოდნას მილიონობით წლის განმავლობაში აგროვებდა, ჩვენ კი მისგან უნდა ვისწავლოთ და მისი გზით ვიაროთ, თუ გვინდა უფრო ეფექტიანები და წარმატებულები“ ვიყოთ. გ. პაული დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ასეთ მიდგომას და ასეთ ხედვას ძალუძს შეცვალოს საზოგადოება, დაძლიოს გლობალური რესურსული და ეკონომიკური დეფიციტი და უზრუნველყოს საყოველთაო კეთილდღეობა. 100 ბიზნეს პროექტი, რომელიც უკვე ლურჯი ეკონომიკის ეგიდით ხორციელდება და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორი მოიცვა, აჩვენებს, რომ შეიძლება არსებობდეს მდგრადი და კონკურენტუნარიანი ბიზნესმოდელი ეკოლოგიური, ფინანსური და სოციალური უპირატესობებით.

ᲛᲘᲣᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲣᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲗᲘ — ᲛᲘᲗᲘ ᲗᲣ ᲩᲐᲚᲝᲒᲘᲗ?

პაულიმ თავისი პირველი კომპანია ჯერ კიდევ 1981 წელს ტოკიოში დააფუძნა, შემდეგ კიდევ 20-მდე კომპანია შექმნა, თუმცა 37 წლის ასაკში მან ყველაფერი გაყიდა, რათა მთლიანად ახალი ეკონომიკური მოდელის „ლურჯი ეკონომიკის“ შემუშავებითა და დანერგვით ყოფილიყო დაკავებული.

1994 წელს გიუნტერ პაული, რომელმაც კიოტოს ოქმამდე[1] 3 წლით ადრე ბელგიაში მსოფლიოში პირველი სარეცხი საშუალებების უნარჩენო წარმოების ქარხანა ააშენა, იაპონიაში მიიწვიეს ისეთი ახალი ეკონომიკური მოდელის შესამუშავებლად, რომელიც უნარჩენო და გამონაბოლქვის გარეშე საქმიანობას დაეფუძნებოდა.

როგორც თავად პაული აღნიშნავს, ინდონეზიაში მისი პროდუქციის მიმწოდებელთან ვიზიტისას შენიშნა, რომ ფერმერები ტროპიკულ ტყეებს ჩეხდნენ და ანადგურებდნენ, რათა რაც შეიძლება მეტი პალმა დაერგოთ და მეტი პალმის ზეთი ეწარმოებინათ, რომ ევროპელი მეწარმეებისთვის მიეწოდებინათ. ამ საქმიანობით მათ ტროპიკულ ტყეებში მცხოვრები ორანგუტანგის საბინადრო გარემო დაარღვიეს და მათ არსებობას საფრთხე შეუქმნეს, მხოლოდ იმისთვის, რომ ევროპაში განთავსებულ პალმის ზეთის საწარმოებს კონტინენტის მდინარეები არ დაებინძურებინათ. სწორედ ამიტომ, პაულიმ მიზნად დაისახა დაემტკიცებინა, რომ რეალურად შესაძლებელია ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის სფეროში არსებული მიღწევებისა და მდგრადი მეთოდების საშუალებით აღდგენადი მასალების შექმნა, როგორც ამას თავად ეკოსისტემები აკეთებენ.

ლურჯი ეკონომიკა კი სწორედ რეგენერაციაზეა დაფუძნებული და ამის ნათელი მაგალითია წყალმომარაგების, საკვებისა და ენერეგიის თვითმწარმოებელი საავადმყოფო კოლუმბიაში. გიუნტერ პაულიმ მსოფლიოში პირველი და ყველაზე დიდი ეკოლოგიური ფაბრიკა დააპროექტა მწვანე ბალახოვანი სახურავით ტემპერატურის გასაკონტროლებლად.

2000 წელს ჰანოვერში (გერმანია) გამართულ მსოფლიო გამოფენაზე პაულიმ 45 000 ბამბუკისგან 9-მეტრიანი პავილიონი ააშენა, რათა არქიტექტურული საოცრების – მცენარეული ფოლადის ნიმუში შეექმნა. პაულის განცხადებით, მართალია „მილიონობით ადამიანი ცხოვრობს ბამბუკისგან აგებულ სახლებში, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ ეს მათი სიღარიბის სიმბოლოა. სინამდვილეში კი ბამბუკი საუკეთესო ხარისხის მასალაა: ჯერ ერთი, იგი ეკოლოგიურად სუფთაა და მეორეც, მიწისძვრებისადმი მდგრადია. ამიტომ იმის ნაცვლად, რომ სახლი ააშენოთ, თქვენ მისი მოყვანა შეგიძლიათ. 100 კვ. მ-ზე შეგიძლიათ დარგოთ ბამბუკი, ხოლო სამი წლის შემდეგ თქვენ უკვე იმდენი ბამბუკი გექნებათ, რომ შეძლებთ ორსართულიანი აივნებიანი სახლი სულ რაღაც 1500 ევროდ ააშენოთ. სამხრეთის ქვეყნებში, სადაც საცხოვრებელი სახლების დეფიციტია, ბამბუკი 100-ზე მეტ ქვეყანაში იზრდება.

2005 წელს პაულიმ პირველი შავ-თეთრ ფერებში გადაწყვეტილი ოფისები შექმნა და ამ იდეის ინსპირაციის წყარო არც მეტი, არც ნაკლები ზებრა იყო. რეალურად კი შავი და თეთრი ფერების მონაცვლეობა აუმჯობესებს ტემპერატურას შენობებში, აგრილებს მას ზაფხულში (ტემპერატურა 5 გრადუსით მცირდება) და სითბოს ინარჩუნებს ზამთარში. ეს კი ენერგოეფექტურობის სიმბოლოა.

გ. პაულიმ სამი წელი 82 მეცნიერთან ერთად გაატარა, რის შედეგადაც მან ისეთი ინტეგრირებული სისტემის დიზაინი შექმნა, რომელშიც არც ნარჩენები და არც გამონაბოლქვია. სწორედ ამის საფუძველზე დააარსა მან 1994 წელს „ნულოვანი ემისიების კვლევა და ინიციატივების“ (Zero Emissions Research & Initiatives) გლობალური ინსტიტუტი, სადაც მსოფლიოს 3000-ზე მეტი მეცნიერი და მკვლევარია გაერთიანებული.

განხორციელებული კვლევებისა და დანერგილი ინოვაციების წყალობით მათ აჩვენეს, რომ საუკეთესო ხშირად ყველაზე იაფია. პაული განმარტავს, რომ არ ემხრობა იმ ლოგიკას, რომ არაჯანსაღი საკვები ყველაზე იაფია და ჯანსაღი ყველაზე ძვირი. ამის დასტურია მისი ყველა პროექტი, რომლებიც ეკონომიკური, მდგრადი და სოციალურია.

მაგალითად, ყავის კაფსულებიდან ჩვენ მხოლოდ 2%-ს ვიყენებთ, დანარჩენი კი ტონობით ნარჩენია, არადა ყავა ნავთობის შემდეგ მეორე მოთხოვნადი პროდუქტია მსოფლიოში. 15 წლის წინ პაულის იდეით დაიწყეს პროგრამა, რომლის მიზანი ყავის ნალექზე მაღალი ხარისხის ტროპიკული სოკოების (რომლებიც ძალიან სასარგებლოა) მოყვანა იყო სუპერკონკურენტულ ფასად. დღეს ამ საქმიანობით ათი ათასობით ადამიანია დაკავებული. გარდა ამისა, ყავის ნარჩენები ძალიან მდიდარია შეუცვლელი ამინომჟავებით, შესანიშნავი საკვებია ქათმებისთვის, კატებისა და ძაღლებისთვის. პაულის განმარტებით, მისი ფილოსოფიაა „ვიმუშაოთ იმაზე, რაც გვაქვს“. ჩვენ უკვე გვაქვს ყავის ნარჩენები და კოფეინის წყალობით გაცილებით იაფად და სწრაფად ვაშენებთ სოკოს, რომელიც თეორიულად ძალიან ძვირია.

ქალაქებში ორი პრობლემა გვაქვს: წყლის გაწმენდის აუცილებლობა და ნაგავსაყრელი, რომლებიც ძალიან ძვირი ჯდება. პაულის იდეის მიხედვით, ორგანული ნარჩენებისგან ხდება წყლის დამუშავება და ბიოგაზის წარმოება ანუ ორი დანახარჯის კონვერტირება შემოსავლად გარდაიქმნება. არსებული სტრუქტურის უპირატესობის გამოყენებით ხდება სასმელი წყლის, ბიოგაზისა და კომპოსტის წარმოება. მაგალითად, ამ მეთოდით სეულში წელიწადში 400 მლნ კუბ. მ. ბიოგაზის მიღებას ვარაუდობენ.

ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘ

ოკეანეებისა და ზღვების როლი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვნად იზრდება. საზღვაო რესურსების გონივრული მართვა და ზღვების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება არის გზა მდგრადი მომავლისკენ, რისი მიღწევაც ერთობლივი ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია.

„ლურჯი“ ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენება ეკონომიკური განვითარებისათვის, რაც როგორც გაუმჯობესებულ სამუშაო და საცხოვრებელ პირობებს, ასევე ოკეანის ეკოსისტემის სიჯანსაღეს გულისხმობს. „ლურჯი“ ეკონომიკა საზღვაო რესურსებს, ბიომრავალფეროვნებას და ეკოსისტემას აღადგენს, იცავს და ინარჩუნებს მას. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს სუფთა ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის გამოყენებას.

„ლურჯი“ ეკონომიკა სხვადასხვა სექტორებისგან შედგება, რომელთა შემოსავალი დაკავშირებულია ოკეანეების, როგორც ცოცხალ „განახლებად“ რესურსებთან (როგორიცაა მეთევზეობა), ისევე არაცოცხალ და შესაბამისად, „არაგანახლებად“ რესურსებთან (მათ შორის, მოპოვებით მრეწველობასთან), მაგალითად, ზღვის ფსკერზე ნავთობისა და გაზის მოპოვება, თუ ეს ისე ხდება, რომ არ აყენებს შეუქცევად ზიანს ეკოსისტემას.

„ლურჯი“ ეკონომიკის სექტორები



თუ მწვანე ეკონომიკა მოითხოვს, რომ გარემოს დაცვის სანაცვლოდ კომპანიებმა მეტი ჩადონ, ხოლო მომხმარებლებმა მეტი გადაიხადონ, ლურჯი ეკონომიკა დაფუძნებულია ნარჩენების, როგორც რესურსებად მოაზრებასა და იმ გადაწყვეტილებების ძიებაზე, რომლებიც ბუნების მიერ არის შთაგონებული და შემოთავაზებული.

„ლურჯი“ ეკონომიკა თანამედროვეობის ახალი გამოძახილია, რომელიც დღეს არსებული პრობლემების (უმუშევრობა, სიღარიბე, რესურსების უკმარისობა, კეთილდღეობის ამაღლების საჭიროება, ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვ.) გადაჭრაზეა ორიენტირებული. ამავე დროს, ნაკლები საინვესტიციო დანახარჯების საფუძველზე უზრუნველყოფს პროდუქტიულობის ამაღლებას.

„ლურჯი“ ეკონომიკა ბიზნესის წარმართვის ინოვაციური მიდგომაა, რომელიც ბუნებისა და ბიზნესსაქმიანობის ჰარმონიულ შერწყმას ითვალისწინებს და სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება:

- ნებისმიერი რესურსი შეიძლება შეიცვალოს სხვა რესურსით;
- ბუნება არ ქმნის ნარჩენებს და, აქედან, არც ბიზნესმა და არც ადამიანებმა არ უნდა შექმნან ნარჩენები;
- წარმოებისა და მოხმარების ნებისმიერი ნარჩენი არის სხვა პროდუქტის წარმოების წყარო.

„ლურჯი“ ეკონომიკა ბუნებრივი ეკოსისტემების დინამიკის შესწავლისა და განვითარებიდან გამომდინარეობს და განიხილება, როგორც წარმოებისა და მოხმარების წარმატებული მოდელების შექმნის აუცილებელი და სასარგებლო საწინდარი.

ლურჯი ეკონომიკა:

- არის ინკლუზიური და აუმჯობესებს ყველას ცხოვრებას;
- იყენებს განახლებად ენერგიას;

- იყენებს ჭკვიან გადაზიდვას გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად;
- დაფუძნებულია მდგრად თევზაობაზე;
- ქმნის სამუშაო ადგილებს, ამცირებს სიღარიბეს და წყვეტს შიმშილს;
- იღებს ზომებს უკანონო თევზაობის წინააღმდეგ;
- ინარჩუნებს ზღვის ორგანიზმებს და ოკეანეებს;
- იცავს სანაპირო თემებს კლიმატის ცვლილების გავლენისგან;
- ებრძვის ზღვის ნარჩენებს და ოკეანის დაბინძურებას;

„ᲚᲣᲠᲯᲘ“ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲜᲐᲩᲔᲥᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐᲐ.

„ლურჯი“ ეკონომიკის კონცეფციის თანახმად, ეკონომიკური სისტემები და ბიზნესმოდელები მოქმედებენ როგორც ეკოსისტემები, ხოლო ბუნება განიხილება როგორც საზოგადოებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის სასარგებლო იდეების მიწოდების საუკეთესო წყარო.

„ლურჯი“ ეკონომიკის პრინციპებზე აგებული ქალაქის, რეგიონის თუ ქვეყნის ბიზნესმოდელი ეფუძნება ახალ მიდგომებს და ეკოინოვაციურ ტექნოლოგიებს, როცა ბუნებრივი გარემოს დაუზიანებლად ბუნებიდან მიიღება ის, რაც მას გააჩნია და უზრუნველყოფილი იქნება პროდუქციისა და მომსახურების მრავალფეროვნება რესურსების სრულყოფილი გამოყენებისა და ენერგოდანახარჯების შემცირების პირობებში.

ამრიგად, „ლურჯი“ ეკონომიკის კონცეფციის მიზანი ეკონომიკური ზრდა, სოციალური ჩართულობა და საარსებო წყაროს შენარჩუნება ან გაუმჯობესებაა და, ამავე დროს, ოკეანეებისა და სანაპირო ზონების გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფა.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

[1] კიოტოს ოქმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის (UNFCCC) ფარგლებში დადებული დამატებითი საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ქვეყნებისთვის სათბურის აირების ატმოსფეროში გაფრქვევის კონკრეტულ (თითოეული ქვეყნისთვის განსხვავებულ) ზღვრებს (ლიმიტებს, ქვოტებს) ადგენს. ქვეყნებს ეძლევათ უფლება გაფრქვევათა შემცირების ნაწილი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე შეასრულონ, ანუ, ფაქტობრივად ქვოტებით ივაჭრონ.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. United Nations Environmental Programme: Green Economy http://www.unep.org/greeneconomy/Portals/88/documents/research_products/briefingpapers/Ru_GE_HEALTH.pdf
2. https://www.theblueeconomy.org/en/
3. Gunter Pauli, 2010, The Blue Economy. Paradigm Publishers, ISBN 978-0-912111-90-2.
4. Gunter Pauli, 2015,The Blue Economy 2.0: 200 Projects Implemented; US$ 4 Billion Invested; 3 Million Jobs Created. Academic Foundation (New Delhi), ISBN 9332703108.
5. Gunter Pauli, 2017, The Blue Economy 3.0: The marriage of science, innovation and entrepreneurship creates a new business model that transforms society. XLibris (Sydney), ISBN 152452106X.
6. Gunter Pauli, 2017, The Third Dimension 3D Farming and 11 More Unstoppable Trends. JJK Books (Santa Barbara), ISBN 0692973079.
7. https://www.youtube.com/watch?v=yoe1-a-ZGnE
8. https://youtu.be/1af08PSIals
9. https://ru.smart-ecoworld.com/6678634-blue-economy
10. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf
11. მწვანე ეკონომიკის ინსტიტუტი – http://greeneconomics.org.uk
12. საერთაშორისო ჟურნალი მწვანე ეკონომიკის შესახებ http://www.inderscience.com/ijge

მაია ბლიაძე
გეოგრაფიის დოქტორი, მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გეოგრაფიის ექსპერტ-კონსულტანტი, ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი

კლიმატის ცვლილება: მიზეზები, შედეგები, ჰიპოთეზები

რა მენსხვეულება ამინდსა და კლიმატს შორის?

ამინდი ატმოსფეროს მუდმივად ცვალებადი მდგომარეობაა დროის მცირე მონაკვეთში, კლიმატი კი ამინდის გრძელვადიანი, საშუალო მაჩვენებელია. ამინ-დი კონკრეტულ დროსა და ადგილზე ტემპერატურის, ნალექიანობის, ტენიანობის,

ქარისა და სხვა ატმოსფერული მოვლენების იმწუთიერი მაჩვენებელია. კლიმატი (ანუ ჰავა) „საშუალო ამინდს“ / „გასაშუალოვებულ ამინდს ნიშნავს“, უფრო კონკრეტულად კი, სათანადო სიდიდეების (მაგალითად, დედამიწის ზედაპირზე ცვლადი ელემენტების როგორიცაა ტემპერატურა, ნალექები, ქარი) საშუალო მდგომარეობისა და ცვალებადობის სტატისტიკური აღწერაა დროის გარკვეულ პერიოდში (მაგალითად თვეების, წლების, საუკუნეების და ა.შ. განმავლობაში). მაშასადამე, კლიმატი შედარებით გრძელვადიან პერიოდში ამ ელემენტების საშუალო მონაცემებია. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (WMO) განსაზღვრების თანახმად, კლასიკური პერიოდი შეადგენს 30 წელს. რაც შეეხება ფართო გაგებას, კლიმატი (ანუ ჰავა) ნიშნავს კლიმატური სისტემის მდგომარეობას მისი სტატისტიკური აღწერილობის ჩათვლით.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ?

კლიმატურ სისტემა მეტად რთულ კომპლექსურ სისტემას წარმოადგენს, რომელიც 5 ძირითად კომპონენტს და მათ შორის ურთიერთქმედებას მოიცავს: ესენია: ატმოსფერო, ჰიდროსფერო, კრიოსფერო, ლითოსფერო (ხმელეთის ზედაპირი) და ბიოსფერო.

ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ

კლიმატური სისტემა დროში ვითარდება როგორც თავისი შიდა დინამიკის გავლენით, ისე გარე ძალების ზემოქმედებით, როგორიცაა მაგალითად ვულკანური ამოფრქვევები, მზის გამოსხივების ვარიაციები და ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ზეწოლა, რაც ატმოსფეროს შემადგენლობის შეცვლას იწვევს.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ?

კლიმატის ცვლილება ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომლის წინაშეც მთელი კაცობრიობა დგას. მისი გავლენა უკვე იგრძნობა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, როგორც ეკოსისტემაზე, ისე, ადამიანებზე. კლიმატის ცვლილებაზე მსჯელობა შეიძლება რამდენიმე (ათეული) წლის მონაცემით, ამინდი კი ერთი დღის განმავლობაშიც შეიძლება რამდენჯერმე შეიცვალოს.

მიუხედავად ისეთი კლიმატური ცვლილებებისა, როგორიცაა სეზონების წანაცვლება, ოკეანის დინებების შეცვლა, ვულკანური აქტივობა, მზის რადიაცია, სხვა კლიმატური მოვლენები (მაგალითად, ელ ნინო ან ინდური მუსონები და ა.შ.), კლიმატი ბუნებით საკმაოდ სტაბილურია, ანუ ეს ცვლილებები გარკვეული კანონზომიერებით ხდება. ასევე, ზამთარი ყოველთვის უთმობს ადგილს გაზაფხულს და მუსონებიც მხოლოდ გარკვეულ სეზონზე იცის.

კლიმატის ცვლილება არის ამინდის პირობების სტატისტიკური განაწილების მნიშვნელოვანი და გახანგრძლივებული ცვლილება, რომელიც შეიძლება მოხდეს ათწლეულებიდან მილიონობით წლის განმავლობაში. ეს შეიძლება იყოს ნორმალური ამინდის სქემების ცვლილება, როგორიცაა წვიმების სეზონის თარიღების ცვლილება ტროპიკებში, ან ექსტრემალური ამინდის მოვლენების სიხშირის ცვლილება, როგორიცაა წყალდიდობა, გვალვა და ქარიშხალი.

გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის (UNFCCC) მუხლი 1 კლიმატის ცვლილებას განმარტავს, როგორც „კლიმატის შეცვლას“, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ განპირობებულია ატმოსფეროს გლობალური შემადგენლობის ცვლილების გამომწვევი ადამიანის საქმიანობით და რომელიც აძლიერებს დროის შედარებადი პერიოდების განმავლობაში დაკვირვებულ კლიმატის ბუნებრივ ცვალობადობას. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია გარკვეულად ასხვავებს „კლიმატის ცვლილებას“ „კლიმატის ცვალებადობისგან“, რომელთაგან პირველი დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობის შედეგად შეცვლილ ატმოსფეროს შემადგენლობასთან, ხოლო მეორე გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით.

კლიმატის ცვლილება ბევრ გლობალურ საკითხს უკავშირდება. მდგრადი განვითარების მე-13 მიზანი, რომელიც კლიმატის ცვლილებას ეხება, მრავალწახნაგოვან საკითხს წარმოადგენს, რომელიც ზემოქმედებს ყველა დანარჩენ მიზანზე და, შესაბამისად, მისი შესრულება უმნიშვნელოვანესია და მდგრადი განვითარების სხვა მიზნების შესასრულების წინაპირობას წარმოადგენს

რა იწვევს კლიმატის ცვლილებას?

კლიმატის ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ბუნებრივი პროცესების, ასევე, გარე ზემოქმედებების შედეგად. მაგ. ვულკანური ამოფრქვევებით, მზის ციკლის სიძლიერის მოდულაციებით, ატმოსფეროს შემადგენლობისა თუ მიწათსარგებლობის ხანგრძლივი ანთროპოგენური (ანუ ადამიანის მოქმედების შედეგად შექმნილი – ადამიანის ეკონომიკური საქმიანობა და რესურსების ინტენსიურად მოხმარება) ზემოქმედებითა და ცვლილებით. დღეს ტერმინში „კლიმატის ცვლილება“ სწორედ ანთროპოგენური კლიმატის ცვლილება იგულისხმება.

რა არის სათბურის ეფექტი და რომელია სათბურის აირები?

კლიმატის ცვლილებას იწვევს სათბურის აირების გაფრქვევა (ემისიები) და, შესაბამისად, სათბურის აირების კონცენტრაციების ზრდა ატმოსფეროში, რაც ხელს უშლის დედამიწის ზედაპირიდან სითბოს არეკვლას და აძლიერებს „სათბურის ეფექტს“. ზოგადად, სწორედ სათბურის ეფექტის დამსახურებაა დედამიწაზე სიცოცხლის ამ ფორმითა და ხანგრძლივობით არსებობა. მაგალითისთვის, არასაკმარისი სათბურის ეფექტი არის პლანეტა მარსზე, რომელსაც აქვს ძალიან თხელი ატმოსფერო, თითქმის მთლიანად CO_2-ის შემადგენლობით. შესაბამისად, მარსს აქვს, ძირითადად, ყინულოვანი ზედაპირი სიცოცხლის ნიშნის გარე-

შე. მარსისგან განსხვავებული შემთხვევაა ვენერაზე, სადაც ატმოსფერო არის დედამიწის ატმოსფეროზე გაცილებით სქელი, ასევე, 154,000-ჯერ მეტი CO^2-ით, შესაბამისად, ვენერაზე არის ძალიან ცხელი ზედაპირი და, ზოგადად, უმართავი სათბურის ეფექტი.

სათბურის ეფექტი

ინდუსტრიული რევოლუციიდან მოყოლებული ადამიანის საქმიანობის შედეგად უპრეცენდენტო რაოდენობის სათბურის აირების გაფრქვევა ხდება ატმოსფეროში, შესაბამისად, იზრდება მათი კონცენტრაცია, იცვლება ატმოსფეროს შემადგენლობა და ძლიერდება „სათბურის ეფექტი“.

სათბურის აირები, რომელთა გაფრქვევაც ადამიანის საქმიანობის შედეგად ხდება აძლიერებენ „სათბურის ეფექტს“. ძირითადი სათბურის აირებია წყლის ორთქლი (H_2O), ნახშირორჟანგი (CO_2) და ოზონი (O_3), ასევე, მნიშვნელოვანი ინფრაწითელი გამოსხივების დაჭერის/შთანთქმის უნარი აქვთ მეთანს (CH_4), აზოტის ქვეჟანგს (N_2O) და სხვ. სათბურის აირები სხვადასხვა სიძლიერის არიან და სხვადასხვა დროით რჩებიან ატმოსფეროში, ანუ თითოეულს სიცოცხლის სხვადასხვა ხანგრძლივობა აქვთ, მაგრამ სრულიად საკმარისი, რომ ერთმანეთთან შერევა მოასწრონ. სწორედ ამიტომ სათბურის აირები ასე თუ ისე თანაბარი რაოდენობითაა ყველგან მიუხედავად მათი გაფრქვევის ადგილისა.

ᲠᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲔᲑᲐ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲡ?

კლიმატის ცვლილება ცვლის ჩვენს ეკონომიკას, ადამიანების ჯანმრთელობასა და ცხოვრებას მრავალი თვალსაზრისით. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ თუ ტემპერატურის მატებას 1,5° C-ით ვერ შევაჩერებთ, შედეგები შეიძლება კატასტროფული იყოს. მათ შორისაა:

- ზღვებსა და ოკეანეებში წყლის დონის მატება მაღალ ტემპერატურაზე წყლის გაფართოებისა და მყინვარების დნობის გამო.
- ისეთი ექსტრემალური და ანომალიური ამინდის მოვლენების ინტენსივობისა და სიხშირის ზრდა, როგორიცაა ქარიშხალი, წყალდიდობა, გვალვა და შტორმები.
- ტერიტორიების გაუდაბნოება, მიწის პროდუქტიულობისა და მოსავლიანობის შემცირება წყლის მარაგის ამოწურვის გამო. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს რეგიონული დაძაბულობა, არსებული კონფლიქტების გამწვავება და „წყლის“ ახალი ომების დაწყება.
- ნაკლებად საიმედო და არაპროგნოზირებადი სეზონების გამო საფრთხე ექმნება მოსავლის გრძელვადიან დაგეგმვასა და ზოგადად საკვების მარაგს.
- თევზჭერის ინდუსტრიაში თევზჭერის შემცირება და მარჯნის რიფების განადგურება მსოფლიო ოკეანეებში წყლის გაზრდილი მჟავიანობის გამო.
- ღირებული ჰაბიტატების, ბიომრავალფეროვნების, მნიშვნელოვანი ეკოსისტემებისა და სახეობების დაკარგვა და ფრაგმენტაცია გარემოს სწრაფად ცვალებად პირობებთან ადაპტაციის უნარის არარსებობის გამო.
- ზოგიერთი სახეობის გეოგრაფიული დიაპაზონის ცვლილება.
- ისეთი დაავადებების გავრცელება, როგორიცაა მალარია და დენგეს ცხელება, რადგან დაავადების გადამტანები (კოღოები) შეძლებენ გადარჩენას და კიდევ უფრო დიდ ტერიტორიებზე გავრცელდებიან.



კლიმატის ცვლილება და განათლება

მთელ მსოფლიოში, განათლება მდგრადი განვითარებისათვის კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების ქვაკუთხედს წარმოადგენს. საერთაშორისო საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად აღიარებს განათლებისა და პროფესიული განვითარების არსებით როლს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლაში.

გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ, პარიზის შეთანხმება და მოქმედება კლიმატის შესახებ განათლების გაძლიერებისათვის მოუწოდებს სახელმწიფოთა მთავრობებს ჩამოაყალიბონ პოლიტიკა და მიიღონ ზომები კლიმატის დასაცავად განათლების, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარის და ძირითადი ჯგუფის გაძლიერებითა და ჩართულობით.

განათლების ჭრილში, კლიმატის ცვლილებას, ისევე როგორც მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერი საკითხს, ორი მხარე გააჩნია: საკითხის შესახებ ინფორმაციის მიღება და მის არსში გარკვევა და მისი გადაჭრის გზების ძიება.

კლიმატის თვალსაზრისით შექმნილი საგანგებო ვითარების გამო, საგანმანათლებლო სისტემების მუშაობის ტრადიციული გზები და ტემპი აღარ არის დამაკმაყოფილებელი. ამჯერად, განათლების მისია შედარებით მოკლე დროში საზოგადოების მასშტაბური ტრანსფორმაციის ხელშეწყობაა. მსოფლიოში საგანმანათლებლო დაწესებულებები – ბაღები, სკოლები, კოლეჯები, პროფესიული სასწავლებლები და, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტები, სულ უფრო მეტად აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას მოამზადონ სტუდენტები და საზოგადოება, რათა მათ აქტიური წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციაში.

კვლევამ აჩვენა, რომ მაღალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების საშუალო სკოლების მოსწავლეთა მხოლოდ 16% რომ იღებდეს კლიმატის ცვლილების შესახებ განათლებას, – 2050 წლისთვის შევძლებდით ნახშირბადის გამოყოფის თითქმის 19 მილიარდი ტონით შემცირებას.

კლიმატის ცვლილებაზე განათლების პროგრამების გაძლიერება სასარგებლო იქნებოდა სხვა მიმართულებითაც. ეკონომიკისა და კლიმატის გლობალური კომისიის მონაცემებით, თუ ქვეყნები 2018-2030 წლებში კლიმატის ცვლილების შესამცირებლად გაბედულ ნაბიჯებს გადადგამდნენ, 2030 წლისთვის შეძლებდნენ 65 მილიონზე მეტი ისეთი სამუშაო ადგილის შექმნას, რომლებიც ნახშირბადის დაბალ გამოყოფას უზრუნველყოფდა და გლობალურ ეკონომიკას დამატებით 26 ტრილიონ აშშ დოლარს მოუტანდა. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გათვლით 2016-2030 წლებში შესაძლებელია დაახლოებით 23 ტრილიონი აშშ დოლარის ოდენობის

კლიმატგონივრული ინვესტირების მოზიდვა ეროვნული კლიმატის ცვლილების ძალისხმევის ფარგლებში.

იუნესკოს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული მოსახლეობის დაახლოებით 2/3-მა მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევად სწორედ კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნების დაზიანება დაასახელა, ხოლო განათლება – ამ გამოწვევებზე რეაგირების საშუალებად. ასევე, ანგარიშის თანახმად, საგანმანათლებლო პოლიტიკის და სასწავლო პროგრამების ნახევარზე მეტი არ ითვალისწინებს დაწყებითი და საშუალო განათლების ეტაპებზე კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებას.

აღნიშნულ კვლევაზე დაფუძნებით აზიის განვითარების ბანკის განათლებისა და კლიმატის ცვლილების ექსპერტები შანტი ჯაგანათანი და არგია სინჰა როი, გვთავაზობს რეკომენდაციებს, რომელთა საშუალებითაც განათლებას კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლია:

1. სწავლება კლიმატის ცვლილების შესახებ ჩართული უნდა იყოს განათლების ყველა დონეზე – ფორმალური განათლების დაწესებულებებში, თემებსა და სამუშაო ადგილებზეც. ამასთან, საგანმანათლებლო სისტემები კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების შესახებ საინფორმაციო მედეგობას უნდა ქმნიდნენ, მათი თავიდან აცილების მიზნით.
2. კლიმატის შესახებ განათლების მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მწვანე უნარების განვითარება. ამისთავის აუცილებელია ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებისთვის.
3. უნდა მოხდეს ინვესტიციების გაზრდა მდგრადობისა და გაციფრულების დაახლოების მიზნით.
4. აუცილებელია დისციპლინათაშორისი კლიმატის კვლევების გაძლიერება. დისციპლინათაშორისი განათლების გაძლიერება აუცილებელია. კოლუმბიისა და სტენფორდის პრესტიჟულმა უნივერსიტეტებმა 2020 და 2021 წლებში კლიმატის სკოლები დააარსეს. კოლუმბიის უნივერსიტეტში ეს იყო პირველი ახლადდაარსებული სკოლა ბოლო 25 წლის განმავლობაში, ხოლო სტენფორდში – პირველი ახალი სკოლა ბოლო 70 წლის განმავლობაში, რაც ხაზს უსვამს კლიმატის კრიზისის დაძლევაში განათლების მნიშვნელობას.

აღნიშნული ოთხი გზა ხელს შეუწყობს მოქალაქეების ქცევის მოდელის შეცვლას უფრო მდგრადი განვითარებისკენ და პირდაპირი კავშირის დამყარებას კლიმატის კვლევის პროგრამებსა და მათ დადებით ზეგავლენას შორის კლიმატის ადაპტაციისა და შერბილების საქმეში.

კლიმატის ცვლილების მიზნების შესრულებისთვის აუცილებელია განათლება გახდეს პრიორიტეტი. კლიმატის ცვლილების შესახებ განათლება ახლა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ოდესმე: კლიმატის ცვლილების მიზეზებისა და შედეგების გაგება არის პირველი ნაბიჯი აზროვნების შეცვლაში, მისი ზემოქმედების შეზღუდვის ახალი გზების დადგენისა და მის გარდაუვალ ეფექტებთან ადაპტაციაში.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. მაია ბლიაძე, მდგრადი განვითარების მიზნები – https://eu.edu.ge/sites/default/files/2022;
2. მაია ბლიაძე, თეონა შუბლაძე და სხვ. კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი საფრთხეების შემცირება – https://elibrary.mepa.gov.ge/Ge/Library/Details/6009
3. მაია ბლიაძე, მაია ზიბზიბაძე, კლიმატის ცვლილება – https://el.ge/articles/537961
4. კლიმატის ცვლილება: ზემოქმედება და ადაპტაცია – https://shorturl.at/gxOQ0
5. კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება – http://weg.ge/sites/default/files/climate_change_and_sustainable_development.pdf
6. შანტი ჯაგანათანი, არგია სინჰა როი, განათლების ოთხი გზა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით https://blogs.adb.org/ka/four-ways-education-can-fight-climate-change
7. https://www.developmenteducationreview.com/issue/issue-6/education-and-sustainable-development;
8. https://www.un.org/en/climatechange/climate-solutions/education-key-addressing-climate-change
9. https://www.plymouth.ac.uk/students-and-family/sustainability/sustainability-education/esd;
10. https://www.unesco.org/en/climate-change/education
11. http://european.ge/oqsimoronis-politikuri-anatomia/;
12. https://en.unesco.org/themes/education-sustainable-development



ლევან სვანისკვერაძე
ისტორიკოსი, ჟურნალისტი

ახალგაზრდული განთლება ნიკო კეცხოველის პრემიის მაგალითზე

> **დღეს ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია — ეკოკლუბების კონკურსია.**

ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემია სკოლის ასაკის მოზარდებისთვის ბოლო წლებში არაფორმალური გარემოსდაცვითი (და არამხოლოდ გარემოსდაცვითი) განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზისად ჩამოყალიბდა. სხვადასხვა დროს პრემიაში ჩვენი ქვეყნის 1200-ზე მეტი საჯარო, კერძო, სახელოვნებო, სასულიერო, პროფესიული თუ სამხედრო მიმართულების სკოლა და ათიათასობით მოსწავლე იყო ჩაბმული.

ნიკო კეცხოველის კვალზე

კონკურსის დაარსებისთანავე, ორგანიზატორებს მიზნად ჰქონდათ ნიკო კეცხოველის სახელის წინ წამოწევა და ახალგაზრდებში მისი ღვაწლის პოპულარიზაცია. სწორედ ამიტომაც ეწოდა პრემიას ეს სახელი. ნიკო კეცხოველი ხომ

ქართველი მეცნიერი, მწერალი და ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელია; იგი ჩვენი ქვეყნის გარემოს გამორჩეული დამცველი და ბუნების დიდი გულშემატკივარი იყო. 1917 წელს ნიკო კეცხოველის უშუალო მონაწილეობით დაფუძნდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და წლების მანძილზე იყო მისი ახალგაზრდული ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი.

ნიკო კეცხოველის სამეცნიერო შრომები ეხება საქართველოს მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტანიკურ-გეოგრაფიულ და სისტემატურ გამოკვლევას, მისი აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. ავტორია მრავალი ლიტერატურული ნარკვევის, ნოველისა და მოთხრობის.

ეს ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსი 2014 წელს დაარსდა ორგანიზაცია CENN-ის მიერ, პროექტის – „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ – ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის /Austrian Development Cooperation/ ფინანსური მხარდაჭერით. თავიდან პრემია ძირითადად ფოტოკონკურსის ხასიათს ატარებდა. მოსწავლეები მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე გზავნიდნენ მათ მიერ გადაღებულ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა ფოტოებს. ეს ფოტოები გროვდებოდა სათანადო ბაზაში, შემდეგ სპეციალური ჟიური (რომელიც წინასწარ გაწერილი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა) საუკეთესო ნამუშევრებს აარჩევდა, მოეწყობოდა გამოფენა და ამ გამოფენაზე საუკეთესო ფოტოები პრიზებით ჯილდოვდებოდა.

შემდეგ პრემიის შინაარსი გაფართოვდა, მრავალმხრივი გახდა და გაეროს მდგრადი განვითარების ჩვიდმეტივე მიზანი მოიცვა, რამაც შექმნა შესაძლებლობა კონკურსის მასშტაბები და მონაწილეთა რაოდენობა იმდენად გაზრდილიყო, რომ პრაქტიკულად მთელი საქართველო მოეცვა. მათ შორის ოკუპირებული გალის რაიონის სკოლებიც.

დღეს ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია – ეკოკლუბების კონკურსია. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ პროექტი არა მხოლოდ გამორჩეული ეკოკლუბების, ცალკეული მასწავლებლების თუ მოსწავლეების გამოვლენისა და დაჯილდოების შესაძლებლობას იძლევა, არამედ არის სკოლებისათვის ახალი შესაძ-

ლებლობების, ცოდნის მიღებისა და გაზიარების, პიროვნული ზრდისა და ორგანიზაციული განვითარების უწყვეტი პროცესი.

კონკურსის მთავარი ფასეულობებია: პასუხისმგებლობა გარემოსადმი, სოლიდარობა და თანამშრომლობა. კონკურსის უპირველესი მიზანია, სკოლის მოსწავლეებს მიაწოდოს ინფორმაცია მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ და დაანახვოს საკუთარი ხელით ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობები ბუნებრივი და სოციალური გარემოს გასაუმჯობესებლად. კონკურსში ჩართული პირები თავად ხდებიან მდგრადი განვითარების პროცესის მონაწილეები.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა წელს გამარჯვებულ სკოლებს გადაეცემოდათ გრანტები, უფინანსდებოდათ ინფრასტრუქტურული პროექტები ან საგანმანათლებლო ტურები ევროპის ქვეყნებში.

ჩვენთვის ღირებულია ნიკო ლეხოშვილის კონკურსი მდგრადი განვითარების მიზნებამ?

როგორც ცნობილია, მდგრადი განვითარების მიზნები 17 მიზნისა და 169 ინდიკატორის ნაკრებია, რომლებზეც თანხმდება გაეროს ყველა წევრი ქვეყანა უკეთესი და უფრო მდგრადი მომავლის მისაღწევად. ეს მიზნები ჩვენ წინაშე არსებულ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს ეხება: სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებს, ასევე – კლიმატურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. ეს მიზნები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იმისათვის, რომ არავინ დარჩეს მათ მიღმა, მნიშვნელოვანია, თითოეული მიზანი და ინდიკატორი 2030 წლამდე შესრულდეს. თითოეული ჩვენგანის პიროვნულ არჩევანს დიდი ძალა აქვს და მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ლოკალურ და გლობალურ გამოწვევებზე.

მდგრადი განვითარება პასუხობს დღევანდელ მოთხოვნილებებს იმგვარად „რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა“. ჰარლემ ბრუნდტლანდი, 1987 წელი.

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი.

ყველა ქმედება, რომელსაც კონკურსის ფარგლებში ბავშვები ბუნებრივი და სოციალური გარემოს სასიკეთოდ განახორციელებენ, ფასდება პირობითი ერთეულით – „ნერგებით“.

სამოქალაქო აქტივიზმის დავალებები, იდეები მოცემულია მდგრადი განვითარების თითოეული მიზნის შესაბამისად. თითოეული აქტივობა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, 20 ან 30 „ნერგით“ ფასდება.

ბავშვები ამ გზით სწავლობენ, ასწავლიან სხვას, ახორციელებენ გარემოსდაცვით და სოციალურ ღონისძიებებს. ამის დამადასტურებელ ინფორმაციას ტვირთავენ კონკურსის პორტალზე forestry.ge და ამგვარად, აგროვებენ „ნერგებს“ ეკოკლუბისთვის. ყველაზე მეტი „ნერგის“ მქონე ეკოკლუბელების რეიტინგი ქვეყნდება forestry.ge-ზე, ნახევარფინალური და ფინალური ტურების შემდეგ კი გამოვლინდება სამი გამარჯვებული და პარტნიორი ორგანიზაციის რჩეული ეკოკლუბები.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ 2023-2024 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲨᲘ

„იმოქმედე კლიმატისთვის“ – ეს არის 2023-2024 წლების პრემიის ლოზუნგი, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს მთელი საქართველოს მასშტაბით განხორციელდება. წელს კონკურსში მონაწილე სკოლები ძირითად აქცენტს მდგრადი განვითარების მე-13 მიზანზე გააკეთებენ: „კლიმატის მდგრადობის მიღწევა – კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება“.

ნლევანდელი საკონკურსო წელი მონაწილეებს კიდევ ერთ სიახლეს, „მდგრადი განვითარების კალენდარს“ შესთავაზებს.

წლევანდელი საკონკურსო წელი, რომელიც ხორციელდება CENN-ის მიერ, პროექტ „მწვანე კავკასიის“ ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით, მონაწილეებს კიდევ ერთ სიახლეს, „მდგრადი განვითარების კალენდარს“ შესთავაზებს. თითოეული საკონკურსო თვისთვის შერჩეული პრიორიტეტული მიზნის ქვეშ განხორციელებული აქტივობა დამატებითი ქულებით შეფასდება და შესაბამისი საექსპერტო მხარდაჭერით იქნება უზრუნველყოფილი. საუკეთესო მაჩვენებლების მქონე სკოლები, ტრადიციულად, ჯერ რეგიონულ, შემდეგ კი ეროვნულ ტურებში შეეჯიბრებიან და 3 სინჯის პრემიას გაინაწილებენ.

თანაორგანიზატორები და პარტნიორები

წლების მანძილზე კეცხოველის სახელობის კონკურსის თანაორგანიზატორები იყვნენ და არიან: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და კულტურის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები და საქართველოს პარლამენტი, ხოლო პრემიას კონკურსის პარტნიორობას შემდეგი ორგანიზაციები უწევენ: FAO, WWF საქართველო, National Geographic Georgia, შვიდწლიანი ინიციატივა „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“, რომელიც ხორციელდება კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), შვედეთისა და საქართველოს მთავრობების დაფინანსებით, ასოციაცია „სიქა“, ევროპის ფონდი, საბუკო და თბილისის ზოოპარკი.

ეს მასშტაბურობა, მოსწავლეთა დიდი ჩართულობა და მრავალმხრივობა იძლევა იმის იმედს, რომ ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემია სამომავლოდაც მრავალ ახალგაზრდას დააინტერესებს, მათ გაუჩენს ბუნების სიყვარულსა და რაც მთავარია, მისი დაცვის სურვილს, რის გარეშეც მომავალი საქართველო და მომავალი მსოფლიო წარმოუდგენელია!

სკაუტინგი როგორც ლიდერობითი სისტემა

ᲥᲗᲘᲕᲐᲜ ᲥᲝᲑᲐᲫᲔ
ფიზიკური განათლების ექსპერტ-კონსულტანტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დასასრული

დასაწყისი იხილეთ 2023 წლის პირველ ნომერში

სკაუტური მეთოდი მოქმედებაში

ახალგაზრდების ჯგუფთან სკაუტური მეთოდის ეფექტურად მუშაობისთვის საჭიროა, რომ უფროს ლიდერს შეეძლოს სკაუტური მეთოდის ელემენტებისა და სკაუტური დინამიკის მოქმედებაში სწორად გამოყენება. სკაუტინგის დინამიკა შედგება ოთხი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ელემენტისგან:

1. **საგანმანათლებლო მიზნები**

სკაუტურ მოძრაობაში თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის შემოთავაზებულია რამდენიმე ზოგადი საგანმანათლებლო მიზანი, რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდის განვითარებასთან. მოძრაობის თითოეული წევრი ცდილობს საკუთარი გზით მიაღწიოს წინსვლას ამ საგანმანათლებლო მიზნებისკენ. სკაუტური განყოფილების უფროსმა ლიდერმა უნდა გაითვალისწინოს ყველაფერი: როგორ იმართება გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ურთიერთობების ტიპები, რომლებიც უნდა განვითარდეს, აქტივობები, რომლებშიც ახალგაზრდები მიიღებენ მონაწილეობას, სხვადასხვა ასპექტი, რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ და არ შეაფერხონ საგანმანათლებლო მიზნების მიღწევა.

> ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ, ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲘ, ᲬᲚᲝᲕᲐᲜᲑᲐ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐ ᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ, ᲡᲙᲐᲣᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲘᲦᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲬᲚᲝᲕᲐᲜᲑᲘᲡᲔᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ.

2. აქტივობები

სკაუტური მოძრაობის აქტივობებია ბუნებაში გასეირნება, სოციალური პროექტები და ა.შ. ის ასევე მოიცავს იმას, რაც აუცილებელია სკაუტური დანაყოფის ფუნქციონირებისთვის, მაგალითად, ისეთ ყოფით საკითხებს, როგორიცაა საკვების ყიდვა, სადილის მომზადება ბანაკში, მოგზაურობა ღონისძიების ადგილისკენ, ინდივიდის პროგრესის განხილვის დისკუსიაში მონაწილეობა. საქმიანობის ორივე სახეობა ხელს უწყობს სასწავლო პროცესს და სკაუტური მეთოდი უნდა იქნას გამოყენებული ორივე შემთხვევაში. აქტივობა, რა თქმა უნდა, ქმნის ხელსაყრელ გარემოს სკაუტური მეთოდის გამოყენებისთვის.

თავად აქტივობა უნდა ეფუძნებოდეს ახალგაზრდების ინტერესებსა და საჭიროებებს, რათა მათთვის მიმზიდველი და სასიამოვნო იყოს. ღონისძიება ისე უნდა იყოს გააზრებული, რომ საგანმანათლებლო მიზანი მკაფიოდ განისაზღვროს. ეს უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ გამოცდას, რომელიც ახალგაზრდამ უნდა აღიქვას მისთვის სასარგებლოდ. დროთა განმავლობაში აუცილებელია საქმიანობის დაბალანსებულად გამრავალფეროვნება.

3. ცხოვრება ჯგუფში

ყველაფერი, რასაც ახალგაზრდები განიცდიან სკაუტურ დანაყოფში, არის მინი-საზოგადოების მუშაობის შედეგი, რომელიც შედგება ახალგაზრდებისა და უფროსი ლიდერებისგან. გუნდური სულისკვეთების ჩამოყალიბება გულისხმობს ჯგუფის კონსტრუქციული დინამიკის მხარდაჭერას (ურთიერთქმედება და ურთიერთობები, რომელიც ვითარდება ახალგაზრდებს შორის და ახალგაზრდებსა და უფროს ლიდერს შორის). ის ასევე გულისხმობს, ახალგაზრდების ურთიერთქმედების სურვილის გამოყენებას (საკუთარ თავთან და ლიდერთან) სხვადასხვა სიტუაციებში, რომლებიც ბუნებრივად წარმოიქმნება მოძრაობაში ყოფნის დროს. როდესაც ყალიბდება გუნდის გრძნობა, ჯგუფი მთლიანობაში ითვალისწინებს ყველას საჭიროებებსა და ინტერესებს და ყველა ხელს უწყობს ჯგუფის განვითარებას.

ჯგუფური ცხოვრება ასტიმულირებს გამოცდილებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ემოციური და სოციალური ზრდა, სოციალური დამოკიდებულების განვითარება და პირადი პროგრესული ფასეულობების შეძენა, რადგან:

- შეკრულ ჯგუფში მუშაობა და ცხოვრების კოდექსის პრაქტიკაში სწავლა (სკაუტური კანონი მოქმედებაში) აძლევს ახალგაზრდას ბუნებრივ გარემოს გააცნობიეროს იმ ღირებულებების ღრმა მნიშვნელობა, რომელსაც სკაუტი იცავს;
- ჯგუფის სხვა წევრებთან კონსტრუქციული ურთიერთქმედება და ურთიერთობა ინარჩუნებს ურთიერთნდობისა და ზრუნვის კლიმატს და ხელს უწყობს ინდივიდუალობისა და თვითშეფასების განცდის განვითარებას;
- ჯგუფის ცხოვრება სკაუტური კოდექსის შესაბამისად, თანატოლების გავლენა, არის ახალგაზრდის განვითარებაზე გავლენის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ასპექტი. ამრიგად, სოციალური დამოკიდებულებები და ღირებულებები, რომლებსაც ჯგუფური ცხოვრება ასტიმულირებს, არის პირადი ხასიათის (როგორიცაა კონსტრუქციული და აქტიური დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ, თავდაჯერებულობა, რომანტიკული

სულისკვეთება, მიზნების დასახვა და ა.შ.) და სოციალური ხასიათის (როგორიცაა გუნდური მუშაობა) სულისკვეთება, კომპრომისი, განსხვავებებისა და ურთიერთდამოკიდებულების აღიარება, სოლიდარობა და ა.შ.. ამიტომ, ჯგუფური ცხოვრება ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს პრაქტიკულად გააცნობიერონ და განავითარონ—მათი პოტენციალის შესაბამისად—სხვების დახმარების სურვილი, პასუხისმგებლობა, ვალდებულება.

4. სტრუქტურა და დანაყოფის ფუნქციონირება

სტრუქტურა და დანაყოფის ფუნქციონირება გულისხმობს, თუ როგორ გამოიყენება სკაუტური მეთოდი და მოქმედების მექანიზმი პრაქტიკაში (მაგალითად, ახალგაზრდისთვის შესაძლებლობების მიცემა პრაქტიკაში იგრძნოს, თუ რას ნიშნავს გადაწყვეტილების მიღება, პასუხისმგებლობა, ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება და სხვ.). ეს ასევე, გულისხმობს რესურსების გამოყენებას (ფინანსურის, მატერიალურის, დროის და სხვ.), რაც დიდ როლს თამაშობს გამოცდილების მიღებაში.

როდესაც საგანმანათლებლო მიზნები, აქტივობები, ცხოვრება ჯგუფში და სტრუქტურა და დანაყოფის ფუნქციონირება ავსებს ერთმანეთს, სკაუტური მოძრაობა სთავაზობს ახალგაზრდას უფრო მდიდარ სასწავლო და ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ᲡᲙᲐᲣᲢᲘᲜᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

დემოკრატიულ საქართველოში პირველი სკაუტური პატრულები გაჩნდა ქალაქ ბათუმში, აჭარაში. ოჯახურმა არქივებმა შემოგვინახა პირველი ქართველი სკაუტების გვარებიც: ჭიჭინაძე, აბაშიძე, ბარათაშვილი.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოს გუბერნიაში თავადმა ბარათოვმა ჩამოაყალიბა სკაუტური რაზმი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა რუსეთში სკაუტინგის დამაარსებელ პანტიუხოვთან. კომუნისტური მმართველობის პერიოდში სკაუტინგი, როგორც საბჭოთა წყობილებისთვის მიუღებელი მოძრაობა, ხელისუფლების მიერ იკრძალებოდა. სკაუტური ორგანიზაციის შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

საქართველოს ახალგაზრდობის საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა საქართველოს სკაუტური მოძრაობის საინიციატივო ჯგუფი სანდრო ურუშაძის ხელმძღვანელობით. საინიციატივო ჯგუფის წევრები იყვნენ ანდრო დგებუაძე, მზია აფრიდონიძე, ვახტანგ ახალაძე. 1993 წლის აგვისტოში ჩატარდა საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელმაც საქართველოს სკაუტური მოძრაობის პირველ პრეზიდენტად აირჩია ანდრო დგებუაძე. 1994 წლის 14 იანვარს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებით, მოხდა საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაციის რეგისტრაცია. განვითარების პირველ წლებში ქართველი სკაუტების პარტნიორი ორგანიზაცია იყო საფრანგეთის სკაუტები.

1994 წლის ივლისს წყალტუბოს რაიონში ჩატარდა საქართველოს პირველი სკაუტური ჯემბორი[1]. 1995 წელს საქართველოს დელეგაციამ პირველად მიიღო მონაწილეობა ჰოლანდიაში გამართულ მსოფლიო ჯემბორზე. დელეგაციის ხელმძღვანელი იყო „საქართველოს სკაუტების“ მეორე პრეზიდენტი ირაკლი თოდუა. 1996 წელს საქართველოს სკაუტებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა მსოფლიო მუტში (ზრდას-

1997 წლის 24 დეკემბერს საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია გახდა სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაციის 147-ე ოფიციალური წევრი.

რული სკაუტების საერთაშორისო შეკრება – ბანაკი) შვედეთში. კონტინგენტის ხელმძღვანელი იყო სანდრო ურუშაძე, ამჟამინდელი „საქართველოს სკაუტების“ მესამე პრეზიდენტი. 1997 წლის 24 დეკემბერს საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია გახდა სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაციის 147-ე ოფიციალური წევრი.

საქართველოს სკაუტური მოძრაობის ორგანიზაცია (სსმო) – „საქართველოს სკაუტები“ არის არასამთავრობო, არაპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს არაფორმალური განათლების გზით მოზარდი თაობისა და ახალგაზრდების განვითარებას. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელიც სამწელიწადში ერთხელ იმართება. გენერალური ასამბლეა ირჩევს ნაციონალურ გამგეობას. ნაციონალური გამგეობა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს ორგანიზაციას ასამბლეებს შორის პერიოდში. ნაციონალური გამგეობა ნიშნავს გენერალურ მდივანს, სამი წლის ვადით. ამჟამად, საქართველოს სკაუტური მოძრაობა აერთიანებს თბილისის, აჭარის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთისა და სამეგრელოს ორგანიზაციებს.

მისია და ხედვა

- სსმო-ს მისიაა ხელი შეუწყოს ახალი თაობის შესაძლებლობების გამოვლენას, მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, მენტალური და სოციალური კუთხით პოტენციალის განვითარების გზით და ამით პოზიტიური წვლილი შეიტანოს უკეთესი საზოგადოების და მსოფლიოს შექმნაში.
- სსმო-ს საქმიანობა ემყარება დემოკრატიას, ნებაყოფლობითობას და აერთიანებს საქართველოს მაცხოვრებლებს, რომლებიც ცნობენ სსმო-ს წესდებასა და პროგრამას. სსმო-ს წევრი შეიძლება იყოს საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ფიზიკური პირი, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა, რომელიც აღიარებს ხსენებულ წესდებას და მონაწილეობას მიიღებს ორგანიზაციის საქმიანობაში.
- საქართველოს სკაუტები არის ერთი გუნდი, რომელიც აერთიანებს ყველა ასაკის დამოუკიდებელ, კომუნიკაბელურ, დინამიკურ ადამიანებს, მათ აქვთ ნებისმიერ გარემოში ადაპტაციის უნარი, არიან ძლიერები და სურთ მეტი წარმატება.

სსმო-ს მიზანია ხელი შეუწყოს:

- ახალი თაობის განვითარებას, მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, ემოციური, სოციალური და სულიერი პოტენციალის სრულად გამოვლენას;
- ახალგაზრდების, როგორც მოქალაქეებისა და ადგილობრივი, ნაციონალური და საერთაშორისო საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბებას;

- ახალგაზრდების პიროვნებად ჩამოყალიბებას ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობათა საფუძველზე;
- ქვეყანაში სამოქალაქო კულტურის ამაღლებას და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სწორედ ამ მიზნების მისაღწევად სსმო სთავაზობს ახალგაზრდებს ლიდერობას, პიროვნულ განვითარებას, ჯანსაღ ცხოვრებას, მეგობრებს მთელ მსოფლიოში, თავგადასავლებს. სკაუტური მეთოდი არის არაფორმალური, თვითგანათლების სისტემა. ის შედგება შვიდი სხვადასხვა ელემენტისგან, რომლებიც ერთად უზრუნველყოფენ მდიდარი, აქტიური და სახალისო სასწავლო გარემოს შექმნას: პირობა და კანონი, სწავლა საქმით, პატრულის (ან გუნდის) სისტემა, სიმბოლური ჩარჩო, პიროვნული განვითარება, ბუნება და ზრდასრულების მხარდაჭერა. სკაუტინგი არის სწავლება საქმით, მუშაობა მცირე ჯგუფებში, თვითგანვითარება, საკუთარი რესურსების გამოვლენა, უნარ-ჩვევების განვითარება, ახალი მეგობრები, თავგადასავლები, ცხოვრების სტილი, ცხოვრება ბუნებაში.

ასაკობრივი ჯგუფები სკაუტინგში:

- კაბ სკაუტები 6-10 წლის;
- უმცროსი სკაუტები 11-13 წლის;
- სკაუტები 14-17 წლის;
- როვერ სკაუტები 18-25 წლის;

სკაუტური სიმბოლოები

სკაუტური მოძრაობა გულმოდგინედ ინახავს თავის სიმბოლოებსა და ტრადიციებს. თაობიდან თაობას გადასცემს მის სიმბოლიკურ მნიშვნელობას და წარმოშობის ისტორიას. როგორც კი ახალგაზრდა ხდება სკაუტი, ის იყენებს სკაუტურ ემბლემას, სკაუტისთვის დამახასიათებელ ნიშნებსა და სიმბოლოებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ პირადად ის და ყველა მისნაირი სკაუტი მსოფლიო სკაუტური ძმობის წევრია. თითოეულ ქვეყანას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სკაუტური ემბლემა, რომელსაც ამ ქვეყნის სკაუტი ატარებს. არსებობს მსოფლიოს ყველა სკაუტისთვის ერთი საერთო ემბლემა -თეთრი სამფურცელა შროშანი იასამნისფერ ფონზე. ეს არის მსოფლიო სკაუტური მოძრაობის მიერ აღიარებული სიმბოლო.

მსოფლიო სკაუტური მოძრაობის სიმბოლო

ცნობილ ენციკლოპედიაში „ბრიტანიკა“ წერია, რომ ეს ნიშანი წარმოდგება ქართა ვარდისაგან, უფრო ძველი ნიშნისაგან, ვიდრე კომპასია, რომელიც პირველად მეზღვაურებმა გამოიყენეს. უძველეს რუკებზე შროშანის სამი ფურცელი აღნიშნავდა ჩრდილოეთის პოლარულ ვარსკვლავზე ორიენტირებულ კომპასის ისარს. სკაუტურ მოძრაობაში სამფურცელა შროშანი აღნიშნავს გზას, მეგობრობისა და ძმობისაკენ. მოგვიწოდებს, ვიყოთ მართალნი და საიმედონი, როგორც კომპასი, დავეხმაროთ სხვებს გზის გაკვლევაში.

შროშანის სამი ფურცელი გამოსახავს სკაუტური პირობის სამ ელემენტს – ვალდებულებას ღმერთის, საკუთარი თავის და სხვების წინაშე; ორი ვარსკვლავი – სიმართლეს და სიცოცხლეს ბუნებაში, ხოლო მათი ათი ქიმი – სკაუტინგის კონსტიტუციის შესაბამისად, სკაუტური კანონის 10 მცნებას. მსოფლიო სკაუტურ ემბლემაში ასევე მნიშვნელოვანი ელემენტია თოკი. იგი შემოხვეულია შროშანზე და შეკრულია საზღვაო

ცნობილ ენციკლოპედიაში „ბრიტანიკა“ წერია, რომ ეს ნიშანი წარმოდგება ქარხა ვარდისებრივ, უჩრო ძველი ნიშნისებრივ, ვიდრე ქრისტესია, რომელიც ვერაფერ მეზღვაურებმა მიიღეს.

კვანძით, როგორც მსოფლიო მოძრაობის ერთიანობისა და ძმობის ნიშანი. მსოფ-ლიო სკაუტური მოძრაობის ფერებია თეთრი და იასამნისფერი. ჰერალდიკაში თეთრი ფერი სიწმინდეს აღნიშნავს, ხოლო სამეფო იასამნისფერი – ლიდერობას და სხვებისადმი დახმარებას.

სკაუტური დევიზი

სკაუტური დევიზია: „იყავ მზად! – პასუხი: „მზად ვარ!“. ლორდ ბადენ პაუელს ერთხელ ჰკითხეს, რას ნიშნავდა ეს დევიზი. მან ასე ახსნა: „სკაუტური დევიზი გვეუბნება, რომ ყოველთვის მზად უნდა იყო, შეასრულო შენი ვალი ნებისმიერი გასაჭირის დროს და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარო სხვებს“.

ბადენ პაუელი ფიქრობდა არა მარტო სკაუტების მზად ყოფნაზე ექსტრემა-ლურ სიტუაციებში, არამედ იმაზეც, რომ თითოეული სკაუტი უნდა მოემზადოს, რათა გახდეს სამშობლოს სასარგებლო მოქალაქე, თავისი წვლილი შეიტანოს ბედნიერი ცხოვრების შექმნაში. მას უნდოდა, თითოეული სკაუტი აღჭურვილი ყოფილიყო იმ ცოდნითა და თვისებებით, რომლის რეალიზებაც დაეხმარებოდა ნებისმიერი ცხოვრებისეული სირთულის დაძლევაში. იყო მზად ცხოვრებისთ-ვის ნიშნავს იცხოვრო ბედნიერად, იმედგაცრუების გარეშე, იმის გააზრებით, რომ გააკეთე ყველაფერი, რაც შენზე იყო დამოკიდებული. სწორედ ეს არსია ჩადებული სკაუტურ დევიზში.

სკაუტური ნიშანი

როცა წარმოთქვამ სკაუტურ პირობას და სკაუტურ კანონს, იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი ასწიე ზევით ისე, რომ არ მოხარო მაჯაში, ხელის გული გახსნილია და მიმართულია პირდაპირ, შუა სამი თითი ზეაწეულია, ხოლო ცერი ფარავს ნეკა თითის მოხრილ ფალანგს. ეს ნიშანი არის სკაუტური პირობის სიმბოლო და აღნიშნავს ვალდებულებას ღვთის, საკუთარი თავისა და სხვების წინაშე.

რობერტ ბადენ პაუელი

ჟესტების ენაზე აღნიშნავს სიბრძნეს, მაღლა აწეული ხელი კი – ყურადღებას. როცა სკაუტების ლიდერი ხელს მაღლა ასწევს, ყველა სკაუტი ანალოგიურად უპასუხებს სკაუტური ნიშნით და ირგვლივ სიჩუმე დგება.

სკაუტური მისალმება (შილინგი)

სკაუტური მისალმება ხაზს უსვამს შენს დამოკიდებულებას განსაკუთრებული ღონისძიებების მიმართ. დროშასთან შენი მისალმება ნიშნავს - ქვეყნისადმი პატივისცემას. როდესაც შენ ესალმები სკაუტ ლიდერს და სხვა სკაუტებს, ამით ამტკიცებ, რომ შენც ეკუთვნი სკაუტების დიდ ოჯახს. მისალმება სრულდება მარჯ-ვენა ხელით, რომელიც იდაყვშია მოხრილი და მიტანილია მარჯვენა წარბთან ხელისგულით წინ.

სკაუტური ხელის ჩამორთმევა

სკაუტური ხელის ჩამორთმევა – მეგობრობისა და ერთგულების გამოვლენის ნიშანია. სკაუტები ერთმანეთს მარცხენა ხელის ჩამორთმევით ესალმებიან. ბადენ პაუელმა ხელის ჩამორთმევის ტრადიცია ერთი აფრიკული ტომისგან გადმოიტანა. ჩვეულებრივ, ამ ტომის მეომრებს მარცხენა ხელში ფარი ეკავათ, მარჯვენაში კი შუბი. უცნობ ადამიანთან შეხვედრისას, ნდობისა და მეგობრული განწყობის საჩვენებლად, მეომარი შუბს მიწაზე დებდა, ფარი გადაჰქონდა მარჯვენა ხელში, და უცნობს მარცხენა ხელის ჩამორთმევით ესალმებოდა. მარცხენა ხელის ჩამორთმევა არის სკაუტური ძმობის ნიშანი.

სკაუტური განმასხვავებელი ნიშანი

ფორმის სახელოზე განსაკუთრებული დანაკერები (ბეჯი) აღნიშნავს ამა თუ იმ სკაუტურ სპეციალობაში შენს მიღწევებს. სპეციალობა ეს არის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელსაც შენ სკაუტურ საქმიანობაში დაეუფლები. ყველა სკაუტურ სპეციალობას აქვს თავისი მოთხოვნები, რომელთა შესრულება აუცილებელია. ამ მოთხოვნების შემდეგ გეძლევა უფლება, მარცხენა სახელოზე ატარო განმასხვავებელი ნიშანი. ეს განსაკუთრებული მიღწევის შემდეგ გადმოგეცემა, როგორიცაა მაგალითად: პირველი სამედიცინო დახმარების გაწევისას, მიღწეული წარმატებისათვის ალპინიზმში, ცურვაში და ა.შ.

სკაუტური ფორმა და ყელსახვევი

სკაუტური მოძრაობის დაარსებიდან სკაუტები დიდი სიამოვნებით ატარებენ ფორმას და პატივისცემით ეპყრობიან მას. მოძრაობის დასაწყისში ის იყო ყველასთვის მკაცრად განსაზღვრული: ფართო ფარფლებიანი ქუდი, პერანგი, ხაკისფერი შარვალი, უფრო ხშირად შორტი, წინდები და ტურისტული ფეხსაცმელები. ამჟამად ფორმა, რა თქმა უნდა, შეიცვალა. ის გაცილებით მეტად შეესაბამება დროს, ადგილობრივ პირობებს, ეროვნულ ტრადიციებს.

ფორმების განსხვავებული ფერთა გამა ერთმანეთისგან გამოარჩევს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ სკაუტურ ასოციაციებს. პატრულსაც შეუძლია განსაკუთრებული ფორმის მოფიქრება, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა იყოს მსოფლიო სკაუტური მოძრაობის ერთიანი ნაციონალური ორგანიზაციის კუთვნილების სიმბოლო.

სკაუტური ყელსახვევი

ყოველი სკაუტი აუცილებლად ატარებს ყელსახვევს. სწორედ ეს ელემენტი განასხვავებს ერთ სკაუტურ ჯგუფს მეორისგან. ყელსახვევი სხვადასხვა სკაუტურ პატრულებსა და ჯგუფებში განსხვავებული ფერისაა. ის შეიძლება იყოს ქვეყნის დროშის, ქალაქის ან რეგიონის გერბის ფერი. ყელსახვევი ატარებს სიმბოლურ დატვირთვას, მისი სამი ბოლო იდეურად დაკავშირებულია სკაუტურ პირობასთან. სხვადასხვა ღონისძიებებზე ქვეყნის წარდგენის დროს სკაუტები ატარებენ ნაციონალურ ფორმასა და ყელსახვევს.

შეჯამება

სკაუტი არის მოხალისეთა ახალგაზრდული მოძრაობა. მისი წევრები არიან ბავშვები, მოზარდები, რომლებიც ნებაყოფლობით იღებენ სკაუტურ პირობას, ემორჩილებიან და იცავენ სკაუტურ კანონს და მეთოდს. კვლევის წყალობით შეიძლება გამოვლინდეს საერთო მახასიათებლები: პირველ რიგში, სკაუტინგი, როგორც სპეციალური სოციალური ინსტიტუტი, რომელიც ეხმარება მოზარდების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას თანატოლებთან კომუნი-

სკაუტინგის განათლება ორიენტირებულია არა პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე, არამედ ჰუმანისტურ ღირებულებებზე.

კაციისა და ურთიერთობისას მათი ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების რეალიზებაში; მეორეც, მას აქვს საგანმანათლებლო გავლენა ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ხელს უწყობს მისი მსოფლმხედველობის, ემოციური სფეროს ჩამოყალიბებას, ქმნის პირობებს თვითრეალიზაციის, თვითგანვითარებისთვის, თვითგანათლებისთვის; მესამე, სასწავლო პროცესი მოითხოვს კომპეტენტურ ორგანიზაციას. სკაუტინგის განათლება ორიენტირებულია არა პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე, არამედ ჰუმანისტურ ღირებულებებზე. „სკაუტინგის“ სისტემა მიზნად ისახავს ბავშვის ინდივიდუალურობის წახალისებას და განვითარებას, რათა ის გახდეს მხოლოდ კარგი ადამიანი და სამშობლოს ღირებული მოქალაქე. სკაუტინგის მთელი სისტემა მიზნად ისახავს ახალგაზრდის მომზადებას საზოგადოებაში და ბუნებაში ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს სოციალური ადაპტაციის პროცესს რთულ ზრდასრულ ცხოვრებაში.

შენიშვნა

1 ჯემბორი არის სკაუტების საერთაშორისო შეხვედრა, რომელსაც 4 წელიწადში ერთხელ ატარებს სკაუტური მოძრაობის მსოფლიო ორგანიზაცია. ჯემბორის ჩატარების ადგილს ირჩევს მსოფლიო კონფერენცია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იყავი მზად სკაუტური ცხოვრებისათვის. რედ. მ. მთვრალაშვილი. 2010. https://members.scout.org/sites/default/files/library_files/SKAUTI_%20%282%29.pdf
2. http://scout.ge/index.php?page=6&lang=ge
3. https://www.scout.org/who-we-are/scout-movement/scoutings-history
4. https://www.scout.org/

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲑᲔᲠᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ



ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲡᲐᲜᲐᲫᲔ
საჯარო მმართველობის დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

კიბერუსაფრთხოებამ, მიუხედავად თავისი განვითარების მოკლე პერიოდისა, შეიძლება ითქვას დაიკავა ერთ-ერთი მთავარი ადგილი, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ უსაფრთხოებაში. ის გახდა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი და მნიშვნელოვანი კომპონენტი. ფაქტობრივად, ყოველივე ეს განაპირობა ინტერნეტისა და ინტერნეტ ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, პანდემიის ფონზე ელექტრონული სერვისების მიმართ გლობალურად მზარდმა მოთხოვნილებამ. ყოველივე ეს კი ითხოვს ინტერნეტის სტაბილურობისა და უსაფრთხოების დაცვის აუცილებლობას, ინტერნეტის ერთიანობის შენარჩუნებას, რაშიც ჩართული არის როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციები. შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული ქვეყნების კიბერსივრცის უსაფრთხოება ისეთივე მნიშვნელოვანი გახდა, როგორც ქვეყნის სახმელეთო, საჰაერო, თუ საზღვაო ტერიტორიების დაცვა და, რაც თავის მხრივ ხდება, საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების შემადგენელი, მისი განუყოფელი ნაწილი. ფაქტობრივად, რაც უფრო დამოკიდებულია საზოგადოება თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მით უფრო მოწყვლადია კიბერთავდასხმების მიმართ.

> **მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის გლობალური რისკების ანგარიშის მიხედვით, კიბერსივრცეში არსებული რისკები კვლავ შედის გლობალური რისკების რიცხვში.**

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის გლობალური რისკების ანგარიშის მიხედვით, კიბერსივრცეში არსებული რისკები კვლავ შედის გლობალური რისკების რიცხვში. პანდემიამ, COVID–19 დააჩქარა ტექნოლოგიების დანერგვის პროცესი, თუმცა, გამოავლინა კიბერ სისუსტეები და მოუმზადებლობა. ამავდროულად, გაამწვავა ტექნიკური უთანასწორობა, როგორც საზოგადოებებს შორის გარედან, ისე მათ შიგნითაც.

სულ უფრო მზარდია კიბერთავდასხმების სტატისტიკური მაჩვენებელი და ჰაკერების სულ უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს აკადემიური სექტორი, სხვადასხვა სახის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები თუ ლაბორატორიები.

იგივე ანგარიშის მიხედვით, „მომავალ წელს (საუბარია 2023 წელზე) ძალზე მნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოება განხილულ იქნეს, როგორც სტრატეგიული ბიზნეს საკითხი და განვითარდეს მჭიდრო საპარტნიორო ურთიერთობები ინდუსტრიებს, ბიზნესის ლიდერებს, მარეგულირებელ ორგანოებსა და პოლიტიკოსებს შორის. ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სტრატეგიული საზოგადოებრივი გამოწვევა, კიბერუსაფრთხოებაც ვერ მოგვარდება იზოლირებულად “.

სულ უფრო მზარდია კიბერთავდასხმების სტატისტიკური მაჩვენებელი და ჰაკერების სულ უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს აკადემიური სექტორი, სხვადასხვა სახის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები თუ ლაბორატორიები. აკადემიურ სექტორზე კიბერთავდასხმების მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტებისა და თანამშრომლების ისეთი პერსონალური ინფორმაცია, როგორიცაა მისამართები, ტელეფონის ნომრები, სოციალური უსაფრთხოების ნომრები, საბანკო ანგარიშები და ფინანსური დოკუმენტები, სადაზღვევო პოლისები. ხშირ შემთხვევაში, ეს მონაცემები შემდეგ თავსდება „Dark Net“ - ზე, სადაც მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა სახის კიბერკრიმინალური ქმედებებისთვის.

ისმის კითხვა: რატომ გახდა აკადემიური სექტორი, ძირითადად კი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები კიბერკრიმინალების სამიზნე?

მთავარ მიზეზს ალბათ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აკადემიურ სექტორში არის საკმაოდ დიდი მოცულობის მონაცემთა ბაზები, უზარმაზარი საჯარო ინფორმაცია, სადაც შედის არა მარტო პერსონალური მონაცემები, რაც შეიძლება ითქვას უფრო მეორეხარისხოვანია, არამედ იქ არის ინფორმაცია სხვადასხვა სახის კვლევების შესახებ, ამ კვლევების შედეგების შესახებ, თითოეული კვლევის პროცესისა და ტესტირების შესახებ.

ამ ტიპის ინფორმაცია სასარგებლოა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისთვის, რომლებიც ხშირად მიმართავენ კიბერჯაშუშობას, მათთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, რაც შეიძლება ეხებოდეს სხვადასხვა სახის ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, მიღწევებსა თუ გამოგონებებს. გარდა ამისა, მსგავსი ინფორმაცია არის ასევე ეკონომიკურად ღირებული.

შეიძლება აღინიშნოს, რომ აკადემიური სექტორი და მასში გაერთიანებული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები არიან კიბერშეტევების სამიზნეები, რადგან იქ არსებული უზარმაზარი მოცულობის მონაცემები არის დაუცველი და ღირებული.

აქვე ისევ გავმეორდები, რომ არა მხოლოდ სტუდენტებისა და თანამშრომლების პერსონალურ მონაცემებზეა საუბარი, არამედ საუბარია კვლევის უახლეს შედეგებზე, რაც შეიძლება გახდეს საერთაშორისო დონის კიბერჯაშუშობის სამიზნე. სწორედ ამიტომ, აკადემიური სექტორისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს კიბერუსაფრთხოებითი ღონისძიებები და დაიცვას თავისი კრიტიკული ინფრასტრუქტურა პოტენციური თავდასხმებისგან.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, იმის გამო, რომ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები ინახავენ ინფორმაციის ისეთ უზარმაზარ რაოდენობას, რომ ისინი ხშირად ხდებიან ჰაკერების და სხვა კიბერკრიმინალების სამიზნე, რაზეც მეტყველებს ასევე მოცემული მიმართულებით კიბერშეტევების მზარდი სტატისტიკა. ფაქტია, რომ 2018-2022 წლებში სასწავლო-კვლევით დაწესებულებებში მოხდა 2000-ზე მეტი კიბერინციდენტი, რამაც გამოიწვია მონაცემთა დარღვევა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბევრ უნივერსიტეტს და იქ არსებულ სასწავლო-კვლევით ცენტრებსა და ლაბორატორიებს აქვს მოძველებული ან ცუდად აშენებული კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემები, რაც კიდევ უფრო დაუცველს და მოწყვლადს ხდის მათ ინფრასტრუქტურას.

აქვე მოყვანილია კიბერსივრციდან მომდინარე ის ხუთი კიბერსაფრთხე, რასაც ხშირად აწყდებიან სასწავლო-კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები, კერძოდ:

1. **ფიშინგი**[1] – ეს არის ყველაზე უფრო გავრცელებული პრობლემა მოცემული სექტორისთვის, სასწავლო-კვლევითი დაწესებულებებისთვის;
2. **Ransomware**[2] – ეს არის კიდევ ერთი მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას სასწავლო-კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები დღეს;
3. ბევრი ჰაკერი იყენებს **SQL**[3] **ინექციებს** კვლევით ინსტიტუტებზე თავდასხმისას;
4. არსებობს მრავალი სხვა ტიპის მონაცემთა დარღვევა, რომელთა წინაშეც ხშირ შემთხვევაში დაუცველია უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურა. მაგა-

როგორ შეიძლება იყოს დაცული კვლევითი ცენტრების კრიტიკული ინფრასტრუქტურა?

ლითად, არსებობს მრავალი სხვადასხვა ტიპის **მავნე პროგრამა**[4], რომელსაც ჰაკერები იყენებენ წლების განმავლობაში;

5. **მოძველებული ტექნოლოგია** – ბევრი უნივერსიტეტი, სასწავლო-კვლევითი ცენტრი და ლაბორატორია იყენებს მოძველებულ ტექნოლოგიას, რაც კიბერშეტევების მიმართ მათ კიდევ უფრო დაუცველს და მოწყვლადს ხდის. პროგრამული უზრუნველყოფის თუნდაც ერთი განახლების გამოტოვებამ შეიძლება ორგანიზაცია კიდევ უფრო დაუცველი გახადოს.

როგორც იყო აღნიშნული, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები ცდილობენ კვლევების ჩატარებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და ამ მიზნით, აქტიურად იყენებენ ჰაკერების მომსახურებას, ახორციელებენ კიბერშეტევებს. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო პანდემიის პერიოდში, როცა კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები აქტიურად მუშაობდნენ კორონა ვირუსის საწინააღმდეგო წამლისა და ვაქცინის შემუშავებაზე.

ამ კუთხით, ძალიან აქტიურობდნენ ჰაკერული ჯგუფები რუსეთის ფედერაციიდან, რომლებმაც განახორციელეს რამდენიმე კიბერშეტევა დიდი ბრიტანეთის, შეერთებული შტატებისა და კანადის COVID-19 კვლევით ცენტრებზე. სამივე ქვეყნის ოფიციალური პირები თავიანთ განცხადებაში დეტალურად აღწერენ რუსული ჰაკერული ჯგუფის აქტივობას, სახელწოდებით APT 29, რომელიც ასევე მოიხსენიება სახელწოდებით "The Dukes" ან "Cozy Bear." გაერთიანებული სამეფოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრის (NCSC) მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია დეტალურად აღწერს რუსული ჰაკერული ჯგუფის საქმიანობას და ცალსახად ასახელებს კონკრეტულ კიბერინციდენტებსა და მცდელობებს აშშ-ს, გაერთიანებული სამეფოსა და კანადის ვაქცინების კვლევისა და განვითარების ორგანიზაციების მიმართ.

პანდემიის პერიოდში, 2020 წლის სექტემბერში მოხდა ჰაკერული თავდასხმა საქართველოს ჯანდაცვის სისტემაზე[5]. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე უცხო ქვეყნიდან განხორციელდა კიბერშეტევა. კიბერთავდასხმის მთავარი მიზანი იყო სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და მისი სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და რიჩარდ ლუგარის კვლევითი ცენტრის დოკუმენტებისა და პანდემიის მართვაზე იქ არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის უკანონო გზით მოპოვება და გამოყენება.

შსს-ს ცნობით, კიბერთავდასხმის შედეგად მოპოვებული ავთენტური დოკუმენტების ნაწილი ატვირთულია ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. ამასთანავე, ამავე ვებგვერდზე იტვირთება მიზანმიმართულად გაყალბებული დოკუმენტები, რომლებიც საზოგადოების დაშინების, დაბნეულობისა და უნდობლობის გაღვივებას ისახავს მიზნად. მიუხედავად იმისა, რომ შსს არ აკონკრეტებს ქვეყანას, საიდანაც განხორციელდა კიბერშეტევა, პროცესები და დეზინფორმაციული კამპანია, რომელიც წინ უძღოდა მოცემულ კიბერშეტევას, დიდი ალბათობით მიუთითებს რუსულ კვალზე.

როცა ვსაუბრობთ კონკრეტულ ფაქტებზე, რაც უკავშირდება კვლევით ცენტრებზე კიბერთავდასხმებს, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ რუსული ჰაკერული ჯგუფი, რომელიც ცნობილია „Cold River"-ის სახელით, რომელმაც 2022 წლის ზაფხულის პერიოდში განახორციელა კიბერშეტევა აშშ-ის ბირთვული კვლევის სამ ლაბორატორიაზე.

და მაინც, ჩნდება კითხვა: თუ სასწავლო-კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები ჰაკერების დიდი ინტერესის ქვეშ არიან, თანაც სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები არიან დაინტერესებული მიმდინარე

კვლევებით, ტესტებითა და შედეგებით, მაშინ როგორ შეიძლება იყოს დაცული კვლევითი ცენტრების კრიტიკული ინფრასტრუქტურა? რა შეიძლება ვურჩიოთ მათ?

ყოველივეს გათვალისწინებით, როცა ვსაუბრობთ კვლევითი ცენტრების კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვაზე, პირველ რიგში აუცილებელია სამთავრობო დონეზე ჩართულობა, საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, რაც მოიცავს კრიტიკული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, კიბერუსაფრთხოებითი და ინფორმაციული უსაფრთხოებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას, თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლებას, რაც ზოგადად კიბერუსაფრთხოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს განათლების მნიშვნელობა, კვალიფიციური კადრების ყოლის აუცილებლობა. ზოგადად, ქვეყნის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული კიბერშეტევების წარმატებით აღკვეთა ბევრად არის დამოკიდებული არსებულ კვალიფიციურ კადრებზე და შესაბამისად, განათლების სისტემაზე, რომელსაც შეუძლია შექმნას და მოამზადოს მსგავსი კვალიფიციური ადამიანური რესურსი.

კიბერუსაფრთხოების განვითარებისა და მდგრადობის შენარჩუნებისთვის მის ყველა ცალკეულ მიმართულებაზე, აუცილებელი არის შესაბამისი განათლებული და კვალიფიციური კადრების არსებობა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცულობის გაზრდას როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე.

შენიშვნები

1 ფიშინგი ინტერნეტთაღლითობის ფორმაა, რომელიც მომხმარებელს მოტყუების გზით აიძულებს, გაამჟღავნოს თავისი სენსიტიური და პერსონალური ინფორმაცია თაღლითების მიერ შექმნილ ყალბ ვებგვერდზე შეყვანის გზით;

2 მავნე პროგრამა, რომელსაც „მძევლად“ აყავს ჩვენი სისტემა, მისი გამოწერის და დაყენების შემდეგ, ის ახდენს სისტემის შიფრაციას კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. ამის შემდეგ პროგრამა გვთხოვს ფულს თუ გვინდა, რომ კრიპტოგრაფიული გასაღები მივიღოთ და გავშიფროთ ჩვენი სისტემა;

3 Structured Query Language – სტრუქტურიზებული მოთხოვნების ენა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია მონაცემთა ბაზებთან წვდომა და იქ შენახული ინფორმაციით მანიპულირება. SQL არის ANSI-სტანდარტი (American National Standards Institute);

4 მავნე პროგრამა, საზიანო პროგრამა (ინგლ. malware) – ყველა იმ პროგრამის სახელწოდება, რომელიც ცდილობს მოიპოვოს უკანონო და არა სანქცირებული გზების საშუალებით წვდომა მსხვერპლის კომპიუტერზე ან პროგრამა, რომელიც მიზანმიმართულად არის შექმნილი იმისათვის, რომ ავნოს მომხმარებლის კომპიუტერს ან მასში არსებულ ინფორმაციას, მომხმარებლისგან მალულად. ასეთ პროგრამებს ხშირად ვირუსებს ეძახიან, ისინი იყოფიან რამდენიმე კლასად და სახეობად.

5 https://ge.usembassy.gov/u-s-embassy-statement-on-september-1-2020-cyberattack-against-georgian-ministry-of-health/

გამოყენებული ლიტერატურა

1. სვანაძე ვ., გოცირიძე ა., კიბერ თავდაცვა: კიბერსივრცის მთავარი მოთამაშეები. კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა, სტრატეგია და ახალი გამოწვევები, თბილისი, 2015;
2. სვანაძე ვ. „კიბერუსაფრთხოების ახალი გამოწვევები და საქართველო“, 2022;
3. ნაფეტვარიძე ვ., „ელექტრონული მმართველობის დანერგვა საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები“, 2020;
4. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი“, 2020;
5. Schwartz N., “Georgia health system’s operations disrupted by cyberattack”, 2023;
6. The Global Risks Report 2021, 16th Edition of the World Economic Forum, In partnership with Marsh McLennan, SK Group and Zurich Insurance Group, 19 January, 2021;
7. GUIDE TO GOOD GOVERNANCE IN CYBERSECURITY, DCAF Business and Security Division, Directorate for Security Cooperation and Defence (DCSD) of the French Ministry of Europe and Foreign Affairs, 19 January, 2021.

ნინო მაჩლიშვილი
კომპიუტერული ტექნოლოგიების ექსპერტ-კონსულტანტი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

CREATIVE COMMONS ლიცენზიები

> **ლიცენზია განსაზღვრავს, რომის შეიძლება ნამუშევრის გამოყენება.**

საავტორო უფლებების დაცვა დიდი ხანია რაც აღარ არის მხოლოდ ეთიკური საკითხი. მას სამართლებრივი საფუძველი აქვს და რეგულირდება საერთაშორისო თუ ადგილობრივი დოკუმენტებით. იმისათვის, რომ არ იქნეს დარღვეული საავტორო უფლებები, ხოლო დაინტერესებულმა პირებმა მოიხმარონ პროდუქცია კანონის დარღვევის გარეშე, შემუშავებულია სხვადასხვა ტიპის ლიცენზია.

რა არის CREATIVE COMMONS ლიცენზია

ორგანიზაცია Creative Commons დაარსდა აშშ-ში 2001 წელს. Creative Commons (შემოკლებით CC) – არაკომერციული ორგანიზაციაა, რომლის მიზანია საავტორო უფლებების რეფორმირება. ქართულ ენაზე გამოიყენება ტერმინი შემოქმედებითი გაერთიანება. გაერთიანებამ შექმნა Creative Commons ლიცენზიები, რომლებიც ნებას რთავენ ადამიანებს თავისუფლად გამოიყენონ შემოქმედებითი ნამუშევრები, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით გლობალურ სივრცეში მუშაობისას.

Creative Commons-ის ყველა ლიცენზიას ბევრი საერთო მახასიათებელი აქვს. ყოველი ლიცენზია ეხმარება შემქმნელებს შეინარჩუნონ საავტორო უფლებები, ხოლო სხვებს უფლებას აძლევენ დააკოპირონ, გაავრცელონ და გამოიყენონ ნამუშევრები – ყოველ შემთხვევაში, არაკომერციულად. ლიცენზია განსაზღვრავს, როგორ შეიძლება ნამუშევრის გამოყენება/ლიცენზია იძლევა უფლებას და აწესებს შეზღუდვებს.

Creative Commons-ის ყველა ლიცენზია მუშაობს მთელ მსოფლიოში და მოქმედებს მანამ, სანამ მოქმედებს საავტორო უფლებები (რადგან ისინი საავტორო უფლებებზეა აგებული). (About The Licenses – Creative Commons)

Creative Commons არის ლიცენზიები, რომელშიც აღწერილია იმ ნამუშევრების გამოყენების პირობები, რომლებსაც ისინი ერთვის.

CREATIVE COMMONS-ᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲔᲗᲝᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

არასწორია იფიქროთ, რომ Creative Commons ლიცენზიები ცვლის საავტორო უფლებებს, ან რომ თუ თქვენ გაქვთ ეს ლიცენზიები, აღარ გჭირდებათ თქვენი ნამუშევრის დარეგისტრირება სადმე სხვაგან. ეს არ შეესაბამება სიმართლეს.

სინამდვილეში, ეს არის გზა ავტორებისთვის, რათა გადაწყვიტონ, როგორ აპირებენ თავიანთი ნამუშევრების გაზიარებას, მაგრამ ეს არ გაძლევთ მასზე საკუთრების უფლებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მაგალითად თქვენ დაწერეთ წიგნი და გამოაქვეყნებთ მას თქვენს ბლოგზე Creative Commons ლიცენზიით, ეს არ ნიშნავს რომ ის თქვენია, აუცილებელია, რომ ის ინტელექტუალურ საკუთრებაში იყოს რეგისტრირებული, რათა არსებობდეს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ის ნამდვილად თქვენია.

Creative Commons-ის ლიცენზიის ნამუშევარზე პასუხობს კითხვას: „რა შემიძლია გავაკეთო ამ ნამუშევართან?“

ეს ლიცენზიები ხელსაყრელია ბევრი პროფესიონალისთვის, ვინაიდან ისინი საშუალებას აძლევენ გააკონტროლონ თავიანთი მუშაობა ინტერნეტში. მაგრამ ვის შეუძლია მათი კარგად გამოყენება? მაგალითად:

- ვისაც აქვს ვებგვერდი ან ბლოგი და წერს მასზე. ამ გზით, ყველა ტექსტს ექნება კონტროლი.
- ვინც წიგნებს წერს და მათი გავრცელება ინტერნეტის საშუალებით არის შესაძლებელი.
- ისინი, ვინც იღებენ ფოტოებს, დიზაინებს, ილუსტრაციებს და ნებისმიერ სხვა ვიზუალურ მასალას (ვიდეოებს, სურათებს, აუდიოს), რომელთა გაზიარება შეიძლება სხვა ადამიანებმა შეძლონ (ავტორის ნებართვით ან მის გარეშე).

CREATIVE COMMONS-ᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲘᲡᲐᲖᲔ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ: „ᲩᲔ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝ ᲐᲛ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲗᲐᲜ?“

რომის შუაპრეს ლიცენზია



Creative Commons ლიცენზიები მარტივად მუშაობს. ისინი უნდა განიხილებოდეს, როგორც ინსტრუმენტები ავტორებისთვის, რათა აკონტროლონ სხვების მიერ მათი ნამუშევრების გამოყენება, ეს ლიცენზიები ეფუძნება ინტელექტუალურ საკუთრებას, რომ დაცული იყოს სხვა ადამიანების ნამუშევრები.

Creative Commons ლიცენზიები მიიღება უფასოდ. სინამდვილეში, ეს მარტივი პროცესია. რაც პირველ რიგში უნდა გააკეთოთ, ეს არის ლიცენზიის არჩევა არსებული სხვადასხვა ტიპების მიხედვით, რომლებსაც ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

CREATIVE COMMONS ლიცენზიების სახეები

Creative Commons-ის ვებგვერდზე—When we share, everyone wins—Creative Commons Creative Commons აქვეყნებს სხვადასხვა განსხვავებულ ლიცენზიას. ეს არის ექვსი განსხვავებული ტიპის ლიცენზია.

მათი ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თქვენ ნამდვილად გეცოდინებათ რა გჭირდებათ თქვენი ნამუშევრისთვის.

Creative Commons ლიცენზიები ბევრად უფრო მოსახერხებელია ფოტოსურათებისთვის, ნახატებისთვის, მოკლე ტექსტებისთვის და ა.შ. ამ ლიცენზიების პირობების გასარკვევად, უნდა წაიკითხოთ თავად ლიცენზიების ტექსტი. Creative Commons-ის ლიცენზიებისთვის, ლიცენზიების პირობები გაწერილია პირდაპირ ლიცენზიების სათაურებში. ლიცენზიების პირობები გაწერილია „სალიცენზიო ელემენტების“ კომბინაციის სახით, რომელთაგან თითოეულს ასევე აქვს საკუთარი სიმბოლო სურათის სახით.

ლიცენზიებში მაპოულენებელი ელემენტები

Attribution – თქვენ უნდა მიუთითოთ ავტორი, მიაწოდოთ ბმული ლიცენზიაზე და მიუთითოთ, განხორციელდა თუ არა ცვლილებები.

ShareAlike – თქვენ უნდა გაავრცელოთ შეცვლილი ნამუშევარი იმავე ლიცენზიით, როგორც ორიგინალი.

NoDerivatives – თქვენ არ შეგიძლიათ ნამუშევრის რედაქტირება.

NonCommercial – ვერ გამოიყენებთ ნამუშევარს კომერციული მიზნისთვის.

ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘᲡ ᲢᲘᲠᲔᲑᲘ

1. ATTRIBUTION CC BY

ეს ლიცენზია საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ნამუშევრების გაზიარების/ გავრცელების, ასევე მისი ადაპტირების (რემიქსი, გარდაქმნა). თუმცა, იგი ვალდებულია, სრულად მიუთითოს წყარო, შესაბამისი ელექტრონული მისამართი (ბმული) და ცვლილებების გაკეთების შემთხვევაში, წარმოაჩინოს ეს ცვლილებები. ლიცენზია იძლევა კომერციული გამოყენების უფლებას. ანუ ლიცენზია გულისხმობს ნამუშევრის გამოყენების უფლებას ნებისმიერი მიზნით, წყაროს მითითების ვალდებულებით.

2. ATTRIBUTION-NONCOMMERCIAL CC BY-NC

ეს ლიცენზია საშუალებას აძლევს სხვებს რემიქსის, ადაპტირების და ნამუშევრის გამოყენების არაკომერციული მიზნებისთის.

3. ATTRIBUTION-NONCOMMERCIAL-NODERIVS CC BY-NC-ND

ეს ლიცენზია არის ყველაზე შემზღუდველი ექვსი ძირითადი ლიცენზიიდან. ის მხოლოდ საშუალებას აძლევს სხვებს ჩამოტვირთონ ნამუშევრები და გაუზიარონ ისინი სხვებს იმ პირობით, რომ მიუთითებენ ავტორის სახელს და არ შეუძლიათ ნამუშევრის არანაირი ცვლილება და გამოყენება კომერციული მიზნებისთვის.

4.

ეს ლიცენზია საშუალებას აძლევს სხვებს ნამუშევრის გამოყენების არაკომერციული მიზნებისთვის, ნამუშევრის გამოყენებისას უნდა მოხდეს ავტორის მითითება და ნამუშევრის იმავე/იდენტური ლიცენზიით გავრცელება.

5. ATTRIBUTION-NODERIVS CC BY-ND

ეს ლიცენზია საშუალებს აძლევს სხვებს გამოიყენოს ნამუშევარი ნებისმიერი მიზნისთვის, მათ შორის კომერციული, თუმცა მომხმარებელს არ შეუძლია შეცვლილი ნამუშევრის გავრცელება/გაზიარება (არაა შესაძლებელი ნამუშევრის რედაქტირება).

6. ATTRIBUTION-SHAREALIKE CC BY-SA

ეს ლიცენზია საშუალებას აძლევს სხვებს გადააკეთონ, ნამუშევარი კომერციული მიზნებისთვისაც კი, თუ ისინი იმავე – იდენტური ლიცენზიით გაავრცელებენ თავიანთ ნამუშევარს.

ამ ლიცენზიას ხშირად ადარებენ „copyleft“ თავისუფალ და ღია კოდის პროგრამულ ლიცენზიებს. ნამუშევარზე დაფუძნებულ ყველა ახალ ნამუშევარს ექნება იგივე ლიცენზია. ასე რომ, ნებისმიერი მწარმოებელი ასევე გასცემს მისი კომერციული მიზნებით გამოყენების უფლებას. ეს არის ლიცენზია, რომელსაც იყენებს ვიკიპედია და რეკომენდებულია მასალებისთვის, რომლებიც ისარგებლებენ ვიკიპედიიდან.

ასევე, არსებობს CC0 ლიცენზია, რომელიც საშუალებას აძლევს შემქმნელებს უარი თქვან ყველა უფლებაზე და განათავსონ ნამუშევარი საჯარო დომენში – Public Domain Mark.

რომელ მაკონფიგურირებულ CC ლიცენზიას ან CC0 თქვენს ნამუშევარზე?

იმისათვის რომ მიხვდეთ რომელია თქვენი ნამუშევრის შესაფერისი ლიცენზია, საჭიროა დაფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ გსურთ თქვენი ნამუშევრის გაზიარება და როგორ გსურთ, რომ სხვებმა გამოიყენონ ეს ნამუშევარი. დახმარებისთვის სცადეთ ვებგვერდი Creative Commons License Chooser – Choose a License (creativecommons.org). თქვენ მხოლოდ უნდა აირჩიოთ CC ლიცენზია, რომელიც შეესაბამება თქვენს საჭიროებებს. თქვენ უნდა მიუთითოთ ბმული თქვენს მიერ არჩეული ლიცენზიისა. ეს შეიძლება იყოს ტექსტი, რომელიც მიუთითებს და აკავშირებს ლიცენზიას საავტორო უფლებების შესახებ შეტყობინებაში, მაგალითად: © 2023. ეს ნამუშევარი ლიცენზირებულია CC BY ლიცენზიით ან ასევე, შეგიძლიათ ლიცენზიის ინფორმაციის ჩასმა თქვენს ვებგვერდზე კონკრეტულ ლიცენზიასთან დაკავშირებული HTML (HyperText Markup Language) კოდის გამოყენებით. ამისთვის გამოიყენეთ Creative Commons License Chooser – Choose a License (creativecommons.org) გვერდი შესაბამისი HTML კოდის მისაღებად.

CREATIVE COMMONS-ის მაგალითები

- YouTube საშუალებას აძლევს შემქმნელებს მონიშნონ თავიანთი ვიდეოები **Creative Commons CC BY ლიცენზიით** Creative Commons – YouTube Help (google.com) .
  ატვირთული ვიდეოების Creative Commons ლიცენზიით მონიშვნის შესაძლებლობა ხელმისაწვდომია ყველა შემქმნელისთვის. სტანდარტული YouTube ლიცენზია რჩება ნაგულისხმევ პარამეტრად ყველა ატვირთვისთვის. Creative Commons ლიცენზიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ 100% ორიგინალურ კონტენტზე. თქვენი ორიგინალური ვიდეოს Creative Commons ლიცენზიით მონიშვნით, თქვენ ანიჭებთ მთელ YouTube საზოგადოებას უფლებას ხელახლა გამოიყენოს და დაარედაქტიროს ეს ვიდეო.
- იუნესკომ გამოუშვა ასობით წიგნი ღია ლიცენზიით, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომია The Creative Commons licenses|UNESCO|პორტალზე. ამ გამოქვეყნებული ნამუშევრების უმეტესობა შემოთავაზებულია სპეციალურად შემუშავებული Creative Commons ლიცენზიებით, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ მომხმარებელს საშუალებას აძლევს ჩამოტვირთოს, დააკოპიროს, გაავრცელოს, თარგმნოს, ხელახლა გამოიყენოს, ადაპტიროს და შექმნას ისინი უფასოდ. იუნესკოს რესურსების უმეტესი ნაწილი ლიცენზირებული იქნება **CC BY SA ლიცენზიით** (The Creative Commons licenses|UNESCO|).

ლიცენზიების ცხრილი

გამოსახულება	აღწერა	მოკლე სახელი
	ავტორის მითითება	BY
	ავტორის მითითება + არაკომერციული	BY-NC
	ავტორის მთითება + არაკომერციული + არაა შესაძლებელი წამუშვერის რედაქტირება	BY-NC-ND
	ავტორის მითითება + არაკომერციული + იმავე ლიცენზიით	BY-NC-SA
	ავტორის მითითება + არაა შესაძლებელი წამუშვერის რედაქტირება	BY-ND
	ავტორის მითითება + იმავე ლიცენზიით გავრცელება	BY-SA
	ვრცელდება შეზღუდვების გარეშე	CC0

გამოყენებული ლიტერატურა

1. When we share, everyone wins – Creative Commons
2. Creative commons licenses (cambridge.org)
3. Choose a License (creativecommons.org)
4. Creative Commons – YouTube Help (google.com)

ნინო მეჯარაძე
პედაგოგიკის დოქტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი

მოქალაქეობის განათლების ქარავანი 2023

CARAVAN

EENCE CITIZENSHIP EDUCATION CARAVAN 2023

Caravan's key events: day by day.

CITIZENSHIP EDUCATION CARAVAN 2023

2023 წლის 11 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე აღმოსავლეთ ევროპის 7 ქვეყანაში მიმდინარეობდა საერთაშორისო პროექტი მოქალაქეობის განათლების ქარავანი. პროექტის ინიციატორი იყო მოქალაქეობის განათლების აღმოსავლეთ ევროპის ქსელი (EENCE – East European Network of Citizenship Education), რომელიც დაარსდა 2016 წელს და 100-ზე მეტ ორგანიზაციასა და ექსპერტს აერთიანებს. პროექტი ფინანსურად მხარდაჭერილი იყო გერმანიის სამოქალაქო განათლების ფედერალური საგენტოს მიერ. ქარავანი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა ფორმატებისა და თემების მრავალფეროვნება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან მუშაობისას, ეჩვენებინა, რომ მრავალფეროვნებისა და სხვათა რწმენის პატივისცემა, დიალოგის უნარი არის დემოკრატიული ღირებულებების საფუძველი, რომელიც ქმნის მშვიდობიან საზოგადოებას, რომელსაც შეუძლია დაიცვას თავისი ღირებულებები ავტოკრატიისა და დიქტატურის საფრთხისგან.

შეხვედრები მიჰყავდათ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ექსპერტებს ლიეტუვიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან, საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ბულგარეთიდან, მოლდოვიდან. თემატიკას მასპინძელი ქვეყანა ირჩევდა საჭიროებებიდან გამომდინარე.

11 აგვისტოს დაიწყო ქარავანი სომხეთში და გაგრძელდა 15 აგვისტომდე. შედგა 21 შეხვედრა, დისკუსია,

პრეზენტაცია ტავუშის, კოტაიკის, არაგაწის რაიონებსა და ერევანში. მონაწილეობდა 13 პარტნიორი ორგანიზაცია. აღსანიშნავია თემათა მრავალფეროვნება: გეოპოლიტიკა და დემოკრატია, უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები (გენდერული თანასწორობა და ინკლუზიური განათლება), პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ჰიბრიდული ომები, ევროინტეგრაცია, კულტურული იდენტობა, მედიაწიგნიერება, ომი და სამშვიდობო პროცესები. სწორედ მშვიდობა სომხეთში, უკრაინასა და მთელ მსოფლიოში იქნა დასახელებული მონაწილეთა მიერ პირველ პრობლემად.

18–27 აგვისტოს ქარავანი მიმდინარეობდა ლიეტუვასა და პოლონეთში. ინტერაქტიული თამაშები შედგა ვილნიუსში, კაუნასში, ვილკავისკისში, დრუსკინინკაიში, ბიალისტოკში, ტიკოცინში, ტრებლინკასა და ვარშავაში.

სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ უკრაინიდან ომის და ბელორუსიდან პოლიტიკური რეპრესიების გამო სხვადასხვა ასაკის (ბავშვები, ახალგაზრდები) ლტოლვილები. შეხვედრები ეხებოდა ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, ისტორიის ინტერპრეტაციისა და მულტიკულტურალიზმის საკითხებს.

ქარავნის შემდეგი ეტაპი აზერბაიჯანში ჩატარდა 3-9 სექტემბერს. ქალაქებში ბაქო, მინგეჩაური, განჯა და გიო-გიოლში სამიზნე ჯგუფებს ახალგაზრდები წარმოადგენდნენ, რომლებიც ესწრებოდნენ პრეზენტაციებს,

მონაწილეობდნენ დისკუსიებში თემებზე: პროექტული სწავლება, რესურსები მოქალაქეობის განათლებისთვის, პანტომიმა მოქალაქეობის განათლებისთვის. ბარდაში, გამომდინარე ადგილობრივი საჭიროებებიდან, შეხვედრა შედგა ადგილობრივ ქალებთან და ეხებოდა გენდერული თანასწორობის საკითხებს. პროექტის აზერბაიჯანელი კოორდინატორი აღნიშნავდა, რომ „ქარავნის ყველაზე დიდი წარმატება არის საჭირო საზოგადოებების პოვნა და მათთან მუშაობა მოქალაქეობის განათლების სფეროში მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით."

ომის პირობებში მყოფმა უკრაინამ სამ ქალაქში (რივნე, ლუცკი და ტერნოპილი) უმასპინძლა ქარავანს 18-დან 25 სექტემბრამდე, რაც გარკვეულ გამბედაობას მოითხოვდა უცხოელი ექსპერტებისა და მონაწილეებისგან. ომმა განსაზღვრა პრიორიტეტული თემები.

ესენია: ადამიანის უფლებები, ლტოლვილთა უფლებები, პირველი დახმარების გაწევა, სტრესთან გამკლავება. ექსპერტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყოველდღიურ გადარჩენაზე ორიენტირებული ხალხის სწავლის სურვილმა.

25–30 სექტემბერს ქარავანი მიმდინარეობდა მოლდოვის 5 ქალაქში.

კიშინიოვში ექსპერტები შეხვდნენ სტუდენტებსა და დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს, ედინეცში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სოროკაში მასწავლებლებსა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს, ხოლო კუშენსა და კაჰულში – მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. ძირითადი თემები იყო სამოქალაქო მონაწილეობა, მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში, მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში, სამოქალაქო განათლება ომისა და პოლიტიკური კრიზისების პერიოდში, დემოკრატიული მოქალაქეობა. ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები ერთობლივად მუშაობდნენ შეხვედრების დროს და ეს ტანდემი ეფექტური გამოდგა.

საქართველოში ქარავანი 7-13 ოქტომბერს ჩატარდა.

შეხვედრები, დისკუსიები, ტრენინგები შედგა ბათუმში, მარნეულში, თელავში, ბოლნისში, ბორჯომში, ახალციხეში. სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ მასწავლებლები, სტუდენტები, მოსწავლეები და მათი მშობლები. შეხვედრები ეხებოდა ევროინტეგრაციის, მედიაწიგნიერების, ადრეულ ასაკში ქორწინების, ადვოკატირების მექანიზმების საკითხებს. ექსპერტთა გუნდმა მრავალფეროვანი აქტივობები შესთავაზა მონაწილეებს. ეს იყო სამუშაო შეხვედრები, ფილმის განხილვა, დისკუსია, ტრენინგები.



14-15 სექტემბერს შედგა პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა საირმეში, რომელშიც მონაწილეობდნენ აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქეობის განათლების ქსელის საკოორდინაციო საბჭოს წევრები, გერმანიის სამოქალაქო განათლების ფედერალური სააგენტოს წარმომადგენელი და პროექტში მონაწილე ექსპერ-ტები. მიუხედავად პროექტის წარმატებისა შვიდივე ქვეყანაში, ყველა წარმომადგენელმა ერთხმად აღნიშნა, რომ მონაწილე ქვეყნებში კიდევ ბევრია გასაკეთებელი მოქალაქეობის განათლების მიმართულებით.

გამოყენებულია ფოტოები ვებგვერდიდან https://caravan.eence.eu/

www.tpdc.ge